საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ოთხშაბათი 16 თებერვალი 1921 წ.

ერთობა

ფასი 50 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 1200 მანეთი, [illegible] ყველგან 50 მანეთი, განცხადებები [illegible] რდზე პეტიტის სტრიქონი 30 მანეთი, [illegible] დზე 20 მანეთი, სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (10 × 2) 1000 მანეთი. ნიშნავი განცხადება არ დაიბეჭდება, რედაქცია და კანტორა იმყოფება ერთობის ქ. № 4, შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან, რედაქციის ტელეფონი 14—76, კანტორის 16—82

№ 36 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 36

გულდათუთქულნი და დაწუხრებულნი მეუღლე ნატალია მაქსიმეს ასული, შვილები: ლიუცია, თინა და ლენა, სიდედრი—ნინო გიორგის ასული პაპკორიძისა, აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ შაბათს 19 თებერვალს 12 ს. ხოჯის მონასტერში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი.

კონსტანტინე ალექსის ძე შენგელიას

სულის მოსახსენებლად. (518—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი დედა კასიანა ძმები: ივანე, ვიქტორი, მიშა, თედორე, დები ლეონინა და ოლღა, რძალი ქენია ძმისშვილი თამარა, აცნობებენ ნათესავთ და ნაცნობებს უდროოდ გარდაცვალებას ძვირფასი და დაუვიწყარი

ეკატერინე მაქსიმე გოკერიას ასულის ჩიტაიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ფოთში. 17 თებერვალს ა. წ. (591—1—1)

შვილი [illegible], მული ანასტასია, მაზლები გიორგი და ნიკიტა ჩიტაიები უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ქალაქ ფოთში ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და საყვარელი პირველის დედა და მეორის რძალი

ეკატერინე მაქსიმეს ასული ჩიტაიასი

რომლის დაკრძალვა დანიშნულია ქ. ფოთში ხვალ 17 თებერვალს ხუთშაბათს ადგილობრივ სასაფლაოზე. გამოსვენება ნაშუადღევის 3 საათზე საკუთარ ბინიდან 26 მაისის ქუჩა

ღრმად დამწუხრებულნი ცოლი: ვარვარა (ბაბულია) ფარნაოზის ასული და შვილები: თინათინი, დარეჯანი და ვახტანგი, დედა: მელანო ვახტანგის ასული, მამა თეიმურაზ ალმასხანის ძე ძმა კონსტანტინე თეიმურაზის ძე და რძალი ლუბა პარმენის ასული აბულაძეები აუწყებენ მეგობართ, ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ქ. თფილისში გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

დავით თეიმურაზის ძე აბულაძე

დაკრძალვა მოხდება შაბათს 19 ამა თებერვალს სოფ. ოქროს ქედში. (ოზურგეთის მაზრა) (593—2—1)

ღრმად დამწუხრებული ბარბალე ([illegible]) თეიმურაზის ასული, კოსტა [illegible] ძე ასათიანები აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ პირველი ძვირფასი და დაუვიწყარი ძმის და მეორე ცოლის ძმის

დავით თეიმურაზის ძე აბულაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება სოფ. ოქროს ქედში შაბათს 19 ამა თებერვალს. (ოზურგეთის მაზრა). (593—2—1)

ღრმად დამწუხრებულნი: [illegible] თეიმურაზის ასული ჯაყელისა შვილებით: მარუშა, ნათელა, თამარი და ილიკო ჯაყელები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, პირველი დაუვიწყარი ძმის და მეორენი ძვირფასი ბიძის

დავით თეიმურაზის ძე აბულაძის

გარდაცვალებას, რომელიც მოხდა ქალ. თფილისში დაკრძალვა მოხდება შაბათს 19 ამა თებერვალს სოფ. ოქროს-ქედში (ოზურგეთის მაზრა). (593—2—1)

ღრმად დამწუხრებული ივლიტა ლევანის ასული ვაწაძისა შვილებით: მარიამ ფარნაოზის ასული, ალექსანდრე, იოსებ მეუღლით ნინა მიხეილის ასული, დავითი, გიორგი და სამსონ ფარნაოზის ძენი ვაწაძეები, მამიდა ტერეზა იოსების ასული ვაწაძე აუწყებენ მეგობართ, ნათესავთ და ნაცნობებთ მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი ბიძის

დავით თეიმურაზის ძე აბულაძის

გარდაცვალებას ქალ. თფილისში დაკრძალვა მოხდება შაბათს 19 ამა თებერვალს სოფ. ოქროს-ქედში (ოზურგეთის მაზრა). (593—2—1)

რესპუბლიკის ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის გამგეობა ახდენს რესპუბლიკაში

ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა და ომში დაღუპულ მეომართა ობლების [illegible] აღწერას რისთვისაც საჭიროა

ინსტრუქტორები

ყველა მაზრებისათვის, გარდა ზუგდიდისა. ჯამაგირი მიეცემათ თვიურად 40,000 მან. წარმოდგენილი უნდა იქნას [illegible] საბუთები პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებიდან. ინსტრუქტორი უნდა იყოს იმ მაზრის მცხოვრები, რომელშიაც ის მუშაობას იკისრებს. ცნობების მიღება სწარმოებს კავშირის ბინაზე ყოველ დღე ქ. თფილისში, პლეხანოვის პრ. № 139, სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ.

(ნ. 14—13) გამგეობა.

ლ. ნჩხუთის რაიონის კოოპერატივთა კავშირი

ამით აცხადებს მაკავშირე კოოპერატივების საყურადღებოდ, რომ ამ წლის თებერვლის 20-ს ქ. ლანჩხუთში დილით 10 საათზე მოწვეულია კავშირის წევრთა რწმუნებულების

წლიური კრება

განსახილველია შემდეგი კითხვები:

1) გამგეობა სარევიზიო კომისიის მოხსენებები.
2) 1920 წლის ანგარიშების განხილვა დამტკიცება.
3) 19 0 წლის მოგების განაწილება.
4) 1921 წლის ხარჯთ აღრიცხვა.
5) კავშირის ფინანსიური მდგომარეობა.
6) ცეკავშირის რწმუნებულთა უკანასკნელი ყრილობის რწმუნებულის მოხსენება.
7) მომავალი ცეკავშირის ყრილობისთვის ნ რწმუნებულის არჩევნები.
8) გამგეობა სარევიზიო კომისიის და მეთვალყურე საბჭოს არჩევნები.
9) მიმდინარე კითხვები.

თუ რწმუნებულთა კრება ზემოაღნიშნულ დღეს არ შესდგა თანახმად წესდების 36 პარაგრაფში მოხსენებული მუხლისა იმ შემთხვევაში კრება დაინიშნება განმეორებით 27 თებერვალს და 37 პარაგრაფში მოხსენებული მუხლის ძალით კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

(567—2—2) გამგეობა.

საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს სასოფლო სამეურნეო პალატისა

ამით აცხადებს, რომ ყოველ სამეურნეო დარგის წარმომადგენელ ორგანიზაციებთან შეთანხმებით ქ. თფილისში დანიშნულია

ყრილობები

23—24 თებერვალს—მეღვინე-მევენახეთა ყრილობა
25—26 „ მეთამბაქოეთა „
1—2 მარტს — მხვნელ-მთესველთა „
4—5 „ მეხილე მებაღეთა „
6—7 „ მეფუტკრეთა „

8 მარტს მოხდება გაერთიანებული სხდომა ყველა ყრილობების წარმომადგენლებისა სასოფლო სამეურნეო პალატის მმართველ ორგანოების ასარჩევად.

ყრილობები შესდგება სასოფლო სამეურნეო საზოგადოების ბინაზე ნინოშვილის ყოფილი ბორიატინის ქუჩა № 5.

დასაწყისი დილის 12 საათზე. (597—1—1)

ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების ზედამხედველი კომიტეტი

თანახმად სამხედრო მინისტრის ნებართვისა აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ 25 თებერვალს ამა 1921 წლისა დილის 12 საათზე, საზოგადოების შენობაში (კირკის ქუჩა № 7) დანიშნულია რწმუნებულთა წლიური

საერთო კრება

განსახილველია შემდეგი კითხვები:

1. მოხსენება ზედამხედველი კომიტეტის, გამგეობის და სარევიზიო კომისიის.
2. 1919 წლის ანგარიშების განხილვა და დამტკიცება.
3. 1920 წლის ანგარიშების განხილვა და დამტკიცება.
4. 1921 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.
5. ახალი წესდების განხილვა და დამტკიცება.
6. მიმდინარე საკითხები.
7. ადმინისტრაციის დამატებითი არჩევნები. (ნ. 3—2)

თფილისის სარაიონო კოოპერატივთა კავშირის გამგეობა ამით აცხადებს,

რომ 27 ამა თებერვალს დღის 11 საათზე, კავშირის შენობაში დანიშნულია

კავშირის რწმუნებულთა ყრილობა.

განსახილველი შემდეგი საკითხები:

1) მოხსენება გამგეობის მუშაობის შესახებ 1920.
2) სარევიზიო საბჭოს მოხსენება.
3) 1920 წ. ანგარიშების განხილვა და დამტკიცება.
4) 1921 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.
5) გამგეობის და სარევიზიო საბჭოს არჩევნები.
6) მიმდინარე საკითხები.

იმ შემთხვევაში, თუ პირველ კრებაზე არ გამოცხადდა საჭირო რიცხვი რწმუნებულთა, მაშინ განმეორებითი კრება ინიშნება, თანახმად კავშირის წესდების 42 მუხლისა, იმავე დღის 12 საათზე, რაც ჩაითვლება კანონიერად, მიუხედავად დამსწრე რწმუნებულთა რაოდენობისა. გამგეობა. (ნ. 5—2)

ახალის ტალახით

სამკურნალო

ექიმ

მ. ს. ზერნოვისა

კირპიჩნი შესახვევი № 13, ბელინსკის ქუჩასთან. (22 თებ.)

ვის ებრძვის ჩვენი ხალხი?

უკვე ერთი წელია რაც ჩვენი ქვეყნის მეზობლად დამყარდა საბჭოთა წესები. ჩვენი ხალხი, რომელსაც წინათ მხოლოდ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა საბჭოთა რუსეთზე, დღეს უკვე კარგათ გაეცნო იმ წესებს, რომელიც მოაქვს ამ სახელმწიფოს. ჩვენმა ხალხმა აშკარად დაინახა, უწინარეს ყოვლისა, ის, რომ ეს წესები არსად არა მყარდება ხალხის ნებაყოფლობით; ეს წესები შემოდის უცხო, დამპყრობი ძალის ხიშტებზე; ძალდატანებაზე და დამონებაზეა იგი დაყრდნობილი, ხალხის უმრავლესობის ჩაჩუმება, მისი უფლების ახდა, მის ზურგზე უცხო შემოსული ძალის გაბატონება მოსდევს მას თან. ასე მოხდა, როდესაც საბჭოთა ჯარებმა დაიპყრეს ჩრდილო-კავკასია; ეს განმეორდა, როდესაც „წითელი“ ჯარები ბაქოში შევიდნენ და აზერბეიჯანი „საბჭოთა რესპუბლიკად“ გამოაცხადეს. ასე მოხდა ერთი თვის წინათ—სომხეთში.

ადგილობრივი ხალხის დამონავებას, მის ჩაჩუმებას, მისი სასიცოცხლო უფლების ჩაკვლას აუცილებლად მოსდევს საშინელი რეჟიმი, შემოსული ჯარების ბატონობა, ხალხის ძარცვა. ეს ასეც უნდა იყოს: ნებაყოფლობით არავინ შეურიგდება თავის მონობას, შემოსული ჯარის უღელს ნებაყოფლობით არავინ დაიდგამს კისერზე. ამით აიხსნება „ჩეკისტების“ ბობოქრობა ბაქოში და ერევანში. ამით აიხსნება ათობით და ასობით ხალხის ხვრეტა, რომლითაც საბჭოთა წესების მესვეურებმა სასაკლაოდ გადააქციეს რუსეთი, აზერბეიჯანი, სომხეთი.

საბჭოთა ჯარი ისევე იმ იმპერიალისტური მიზნებით მოქმედობს, რომლითაც მოქმედობენ ყველა იმპერიალისტური ქვეყნების ჯარები, მაგრამ ამ ჯარებს აქვთ თავისი განსაკუთრებული ხასიათიც, რომელიც მას ჩვეულებრივ იმპერიალისტურ ჯარებზე კიდევ უფრო საშიშრად ხდის. „წითელი“ ჯარები მოდიან საბჭოთა რუსეთიდან, იმ ქვეყნიდან, სადაც მძვინვარებს საშინელი შიმშილი, სადაც უსაქმოდ დარჩენილი, შიმშილისაგან სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი მუშები ერთად ერთს გამოსავალს ლუკმა-პურის საშოვნელად ხედავენ „წითელი“ არმიის ჯარისკაცად ჩაწერაში. ორი წლის განმავლობაში ამ „წითელმა“ ჯარმა თავისიანებს, რუს მცხოვრებთ შეუჭამა მთელი მისი მონაგარი. როცა იქ გამოილია სარჩო-საბადებელი, „წითელი“ ჯარი სამხრეთისაკენ გამოემართა, წაართვა, რაც კი ებადა პურით მდიდარს ყუბანს, თერგს ოლქს, შემდეგ კალიასავით შეესია აზერბეიჯანს. შეჭამა და გაიტანა მისი პური, ბრინჯი; აზერბეიჯანიდან დაიძრა სამხრეთით საქართველოსაკენ და სომხეთისაკენ. რაც კი გააჩნდა ამ აოხრებულ მხარეს, „წითელმა“ ჯარმა ისიც აღარ შეარჩინა მცხოვრებლებს,

ასე სტიქიურად იბრძვის ეს დამშეულთა ბრბო იქითკენ, საითაც მას ნაკლები წინააღმდეგობა ხვდება, იძვრის ერთი მიზნით გატაცებული—რომ სჭამოს, დამშეული კუჭი გაიძღოს, იშოვოს რამე შიმშილ სიკვდილისაგან თავის დასაღწევად. იქ, სადაც მას შეხვდება წინააღმდეგობა, „წითელი“ ჯარი უკან იხევს და სხვა მხრისაკენ მიემართება. [illegible] თვისება ყოველივე სტიქიური ძალისა.

საქართველოს საზღვრებსაც არა ერთხელ მოაწყდა ეს დამშეულთა, შიშველ-ტიტველთა ბრბო, მაგრამ საქართველოს საზღვრებზე მას ყველგან წინ დახვდა ძნელად გადასალახავი კედელი, რომელიც ამართულია ჩვენი გვარდიისა და ჯარის მოსიყვარულე ხელით.

ყოფილი რუსეთის ქალაქთა შორის თფილისი ერთად ერთი დიდი ქალაქია, რომელიც გადურჩა აკლებას, აოხრებას, რომელშიაც წესიერება და ხალხის მონაგარი ხელშეუხებელი დარჩა. ქართველ ხალხს, მისი მოსახლეობის უდიდეს ნაწილს არ შეეძლია გაჩანაგება და სარჩო-საბადებელის განიავება, რაც ასე მწარედ დაატყდა თავს ყველა მცხოვრებთ მის ირგვლივ. გლეხობის ხელში მიწების წესიერად გადასვლამ გაამაგრა, მოაღონიერა ჩვენი გლეხობა. არას დროს ჩვენი გლეხობა არ ყოფილა ისე წელში გამართული, როგორც დღეს, არას დროს მისი მდგომარეობა არ ყოფილა ისე მტკიცე, მის ხელში არ ყოფილა დაგროვილი სახელმწიფოს სარჩო-საბადებელის ისეთი დიდი ნაწილი, როგორც დღიდან საქართველოს დამოუკიდებელი არსებობისა. და ადვილად ასახსნელია, თუ რათ დამშეული „წითელი“ არმია ეხეთქება საქართველოს კედლებს. მას იზიდავს ისეთი ლუკმა, როგორიც არის განადგურებისაგან დაცული საქართველო. იგი ერთხელ შემოიჭრა საქართველოში აზერბეიჯანის მხრიდან, მაგრამ მწარედ ნაცემმა სულ ორი კვირის განმავლობაში შერიგება ითხოვა.

დღეს ეს ჯარი სამხრეთიდან გვიგლის. მის სტიქიურს კვეთებას აძლიერებენ ადგილობრივი პირობები, რომლებიც „წითელი“ ჯარების სომხეთში შესვლამდისაც ამხედრებდენ საქართველოს წინააღმდეგ სომხეთის სათავეში მდგომ დაშნაკელებს. თფილისის „დაკარგული სამოთხე“—აი რა იზიდავდა ამ პარტიას, აი რა ამხედრებდა მათ საქართველოზე. დაშნაკურ მთავრობას ჩამოწარდა ეს განზრახვა. დღეს იმავე დაშნაკელებს წითელი წამოსასხამი ჩაუცვამთ და „წითელ“ ჯარებს შეჰკედლებიან, რომ იმათი ხიშტებით განახორციელონ ის, რაც თავისი ძალით ვერ მოახერხეს. „გაწითლებული“ დაშნაკელების გეგმა არ არის მოკლებული ერთნაირს საფუძველს:

მათ კარგათ იციან, რომ, თუ კალიასავით შემოსეულმა „წითელმა“ ჯარებმა მოახერხეს საქართველოს დაპყრობა, საქართველო წელში გატყდება, მისი თავდაცვის უნარი შემცირდება და მომავალში, როდესაც „წითელი“ სტიქიონი, რაც აუცილებელია, დაწყნარდება და ჩადგება თავის კალაპოტში, თბილისში დარჩებიან „წითლებთან“ შემოსული დაშნაკელები, რომლებიც ძველს ბატონებს დაუბრუნებენ მას.

ორი ძალა ეკვეთება დღეს სომხეთის მხრიდან საქართველოს: „კომუნისტური“ და დაშნაკური, სტიქიური და შეგნებული. პირველს საქართველოს სარჩო საბადებლის დატაცება მოერეკება ჩვენსკენ, მეორეს—წართმეული პოლიტიკური ბატონობის დაბრუნება ეწევა თბილისისაკენ. პირველი შეჭამს, რის შეჭმასაც მოახერხებს, დაასუსტებს, წელში გასტეხს ჩვენს დემოკრატიას, აოხრებს ჩვენს ქვეყანას; მეორე მის ნანგრევებზე ხელახლა ააგებს სომხის ბურჟუაზიის, ხატისოვ-არღუთინსკების ბატონობას.

აი რას უქადის სომხეთიდან შემოჭრილი მტერი საქართველოს, მის დემოკრატიას. აი რად მიეშურება ასე აღფრთოვანებით ფრონტისაკენ მთელი ჩვენი ხალხი.

რკ. გზის მუშ-მოსამსახურეებს

გუშინ გაზეთებში დაიბეჭდა გენ.-გუბერნატორის მოწოდება, სადაც, სხვათა შორის, მიმართვაა რკინის გზელებისადმი, რათა უკანასკნელებმა ხელი შეუწყონ წესიერ მიმოსვლას და ჯარის გადაყვანას და სურსათ მასალის ჩქარა გადატანას.

უნდა ვაღიაროთ, რომ ამ ბოლო დროს რკ. გზებზე მოძრაობა ვერ სწარმოებს კარგათ. მართალია, ამას ხელს უწყობს ზოგი გარდაუვალი დაბრკოლება, მარა ამაში არა ნაკლებ როლს თამაშობს მოსამსახურე პერსონალის დაუდევრობაც. თავის დროზე არ გამოყავთ დეპოებიდან ორთქლმავლები, გზებში მემანქანეთა ბრიგადა ხშირათ არ იჩენს საკმაო ენერგიას მუშაობაში და აგვიანებს მატარებლებს, ადმინისტრაცია ვერ არის თავის ადგილას და სხვ. ყოველივე ამას ამიერიდან მაინც ბოლო უნდა მოეღოს. ყოვლად დაუშვებელია, რომ რკინის გზის მიზეზით ერთი წამით დაგვიანდეს თუ გინდ ერთი მეომარის მიყვანა დანიშნულ ადგილას; პირდაპირ ღალატი იქნება რესპუბლიკისა და ხალხის წინაშე, რომ ამავე მიზეზით თავის დროზე ვერ მივაწოდოთ ფრონტს სამხედრო მასალა და სურსათი. მემანქანე რომელიც დააგვიანებს გზაში, მოსამსახურე, რომელიც თავის ადგილას არ იქნება, ადმინისტრატორი, რომელიც უწესოების წინააღმდეგ სასტიკ ზომებს არ იღებს—ყველა ესენი ნებით თუ უნებლიეთ მტრის საქმეს აკეთებენ, მის გამარჯვებას უწყობენ ხელს. ნურავინ იტყვის იმას, რომ მატარებლები იგვიანებენ იმიტომ, რომ ნახშირით მუშაობენ. დამტკიცებულია, რომ თუ ყველა ერთგულად მუშაობს, თუ ყველას გული შესტკივა, ნახშირით თითქმის ისევე შეიძლება მატარებლების სიარული, როგორც ნავთით.

დღევანდელ პირობებში ომის მოგების ერთი აუცილებელი პირობა რკ. გზების წესიერი და სწრაფი მუშაობაა.

ამიტომ ჩვენ მივმართავთ რკ. გზის მუშა მოსამსახურეებს და ვეტყვით: რესპუბლიკას სჭირია თქვენი ერთგული და თავდადებული მუშაობა, ფრონტის გამარჯვება თქვენზეა დამოკიდებული, ნუ დაიშურებთ თქვენს ძალასა და ღონეს, დაივიწყეთ ყველაფერი და გახსოვდეთ მხოლოდ ერთი—ერთგული მუშაობით ხალხის ღალატი არ ჩაიდინოთ!

წარსულში რკ. გზის მუშა-მოსამსახურეებმა დიდი როლი ითამაშეს თავისუფლებისა და რევოლუციონურ მონაპოვართა დაცვის საქმეში. მათი უმაგალითო მუშაობით გადვირჩინეთ ჩვენ თავი კავკასიის ფრონტის [illegible] ჯარისკაცთა აკლებისაგან. როცა ქვეყანას გასაჭირი ადგებოდა თავზე რკ. გზის პროლეტარიატი ყოველთვის ივიწყებდა ყველაფერს და ემსახურებოდა მარტო მარტო ქვეყნის გადარჩენას.

ჩვენ ღრმათ გვწამს, რომ იგი დღესაც ასე მოიქცევა. თუ განვლილ დღეებში ადგილი ქონდა დაუდევრობის საწუხარო მაგალითებს, ამიერიდან ამას ბოლო მოეღება და ყველა დიდი და პატარა ერთგულათ იმუშავებს რესპუბლიკისა და თავისუფლების სასარგებლოთ.

დაე, ყველა გამსჭვალოს ამ მისწრაფებით!

ყველამ იფიქროს და იმუშაოს მხოლოდ გამარჯვების საქმეზე!

ყველა საქმეზე

საქართველო ისევ საფრთხეშია. მუხანათი და დაუნდობელი მტერი მას მოსვენებას არ აძლევს. მას შეშურს ჩვენი ქვეყნის ბედნიერება და მის სისხლში ჩაღრჩობას ლამობს. ქურდულად, მოპარვით, მზაკრული ოინბაზობით საქართველოს მიდამოებში მოიკლაკნება მისი ურდოები და ასწლობით მშრომელი ხალხის ოფლით დაგროვილ ქონებას ანიავებს და გაშენებულ ველ-მინდვრებს აპარტახებს.

ქვეყანა ისევ საფრთხეშია. საჭიროა ყველა სასიცოცხლო ძალების ფეხზე დაყენება. საჭიროა ერის მთელი ენერგიის დაჭიმვა, რომ თავზედ მტერს ჰკუა ვასწავლოთ და ერთხელ და სამუდამოთ ხელი ავაღებინოთ ასეთ კადნიერებაზე. დღეს უნდა დავიწყებული იქნას ყოველგვარი პარტიული უთანხმოება. ყველა უნდა გაიმსჭვალოს ერთი აზრით, ერთი ფიქრით, ერთი ნებისყოფით. ესაა მტრის სასტიკათ დამარცხება.

ყველაფერი და ყოველივე ფრონტისათვის. ყოველივე და ყველაფერი გამარჯვებისათვის. არ არის ფრონტი საგარეო და ფრონტი საშინაო. არის ერთი მთლიანი ფრონტი და ამ მთლიან ფრონტის შექმნა განმტკიცებისათვის უნდა დაიხარჯოს მაქსიმუმი ხალხის და მის მესვეურთა ენერგიისა.

ყველა საქმეზე, ყველა თავის ადგილას, ყველა ხალხის სამუშაოზე. ყველა საქმეები დღეს წვრილმანია ქვეყნის დაცვის წინაშე. ყოველი და ყოველივე უნდა დაემორჩილოს თავდაცვის საქმეს, ვისაც და როგორც შეუძლია. არ უნდა იყოს არავითარი შეფერხება ქვეყნის დაცვის საქმეში. ყველაფერი საათივით უნდა იყოს აწყობილი. სოფელი, ქალაქი, დიდი, პატარა, ყველა უნდა ჩაებას დაცვის საქმეში. ყველამ თავის წვლილი უნდა შეიტანოს ამ დიად საქმეში.

ჩვენი მტრები შეეცდებიან შიგნით, რესპუბლიკაში გამოიწვიონ არეულობა, დაარღვიონ წესრიგი და მით ხელი შეუშალონ მებრძოლთა რაზმების წინ მსვლელობას.

იყავით ფრთხილად, ადევნეთ თვალყური მოღალატეთა მუშაობას, მიიღეთ სასწრაფო ზომები.

ხალხი და მისი ინტერესები, ქვეყანა და მისი დაცვა,—აი მიზანი, რომელსაც უნდა დაემორჩილოს ყველა და ყველაფერი.

ყველა საქმეზე, ყველა თავის ადგილას, ყველა ხალხის სამუშაოზე.

დე იგრძნოს მტერმა თუ რას ნიშნავს ჩვენი ხალხის ერთსულოვნება, მისი მტკიცე ნება და სურვილი თავის და-

გენერალური შტაბის ცნობა

15 თებერვალი.

თებერვლის 14 სადახლოს რაიონში სროლა და მზვერავთა მოქმედება იყო. ამ რაიონში მოწინააღმდეგეს აქტივობა არ გამოუჩენია, ლორის ველზე მტერი ცდილობდა შემოტევაზე გადმოსვლას, მაგრამ ჩვენი ჯარების ცეცხლმა მათი ცდა უშედეგოთ დასტოვა. ღამით ამ რაიონში ჩვენი ჯარები უფრო შეჯგუფდნენ. ვორონცოვკის ჩრდილოეთით მდებარე სიმაღლეებზე არტილერიის რაზმმა, რომლის შესახებაც თებერვლის 12 არავითარი ცნობები არ გვქონდა და რომელიც შინიხის რაიონში დაღუპული გვეგონა, ირგვლივ მტრის მიერ შემოხვეულმა,—გაიკაფა გზა და მთის ბილიკებით წამოვიდა ჩვენებთან შესაერთებლათ.

თანახმად თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა 1894 და 1895 წლებში დაბადებულნი, რომელნიც შვებულებაში იყვნენ, თავის ნაწილებში უნდა დაბრუნდნენ.

ცვასა. ამ ნების სიძლიერის წინაშე არა ერთი მოქნეული ხმალი გადატეხილა და გავარდნილა ხელიდან. აქეთივე ბედი ეწვევა იმ მუხანათურ ხმალსაც, რომელიც შემოიპარა თერთმეტ თებერვალს ღამის წყვდიადში...

განი.

სად არის „ინკვიზიცია"?

(ამხ. მარიამიძის წერილის გამო).

ქვემოდ ჩვენ ვათავსებთ ამხ. მარიამიძის წერილს. მასში გამოთქმული უმთავრესი აზრები სრულიად არ ეთანხმება იმას, რასაც იზიარებს მთელი ჩვენი პარტია და ჩვენი გაზეთიც. მიუხედავათ ამისა ამ წერილში აღძრული საკითხები იმდენათ მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ საჭიროდ და სასარგებლოდ მივიჩნიეთ ამ წერილის მოთავსება ჩვენს გაზეთში და მასში აღძრულ კითხვების გაშუქება.

ამხ. მარიამიძე უკმაყოფილოა იმ ზომებით, რომელიც პარტიულმა კონფერენციამ აირჩია პარტიის გამოსამრთელებლად და პარტიული დისციპლინის აღსადგენათ. ამ ზომებს იგი უწოდებს „რეპრესიებს". ასეთი შეხედულება კონფერენციის დადგენილებაზე ამხ. მარიამიძეს არ ეკუთვნის. დღეიდან. კონფერენციის დასრულებისა „ახალი სხივი" გაფითრებულს კამპანიას ეწევა მის წინააღმდეგ, მისი ავტორიტეტის გასაბათილებლად და მისი პრესტიჟის დასამდაბლებლად, კონფერენციის დადგენილება „ახალმა სხივმა" „საშუალო საუკუნოების მინისტრის" წესებს შეადარა, „ინკვიზიციად" მონათლა და განაცხადა, სწორედ ამგვარ ზომებით უსწორდებოდნენ ძველი რეჟიმის დროს რევოლიუციონერებსო. ჩვენს გაზეთში არა ერთხელ ყოფილა განმარტებული, თუ რა უსუსურია ასეთი შედარება, როგორი პოლიტიკური შეუგნებლობის მაჩვენებელია იგი, როგორ პარტიული ანბანის უცოდინარობაზეა დაფუძნებული იგი.

საშუალო საუკუნოების ინკვიზიციას ან ძველი რეჟიმის დროის სახელმწიფოს ხელში ჰქონდათ უდიდესი ძალა, რომელსაც შეეძლო ამა ქვეყნის მრავალი სიკეთე და ბედნიერება მიენიჭებინა იმათთვის, ვინც მის მორჩილებაში იქნებოდა და მისს ბატონობის განმტკიცებას ემსახურებოდა, მაგრამ ამავე დროს მას შეეძლო ღვთის რისხვად და უბედურებად მოვლინებოდა იმათ, ვინც მას ურჩობას გაუწევდა და მისს ბატონობას ძირს გამოუთხრიდა, ვინც იდეურად ვერ ურიგდებოდა საშუალო საუკუნოების ეკლესიის და თვითმპყრობელ სახელმწიფოს ბატონობას, ვინც მოინდომებდა მათს გარეშე დარჩენას, ეს უკანასკნელნი მათ წინააღმდეგ ხმარობდენ ძალადობას, ყოველს ტანჯვა-წამებას აყენებდენ მათ. ეს იყო დესპოტიზმი, ეს იყო მონობის განმტკიცება, ეს იყო თავისუფლების ფეხქვეშ გათელვა.

სულ სხვა ხასიათის მოვლენაა პარტიული ცხოვრება. პარტიის ხელში არ არის არავითარი ფიზიკური ძალა; პარტიაში შევლა სრულს ნებაყოფლობაზეა დაფუძნებული; არავინ ძალას არ დაგატანს, გინდა თუ არა პარტიაში შედიო; არავინ კალთებს არ დაგაგლეჯს, გინდა თუ არა პარტიაში დარჩიო. არავითარ ამა ქვეყნიურ სიკეთეს პარტია არ აძლევს მას, ვინც მის წევრად ხდება, და არავითარს სიკეთეს არ ართმევს მას, ვინც პარტიიდან გამოდის, ამ აზრს არ იზიარებს „ახალი სხივი". ამის წინააღმდეგ ამ გაზეთის უკანასკნელ ნომერში გამოთქმულია შემდეგი მოსაზრება:

„ეს მართალია, თუ პირნათლად შეასრულე პარტიული მოვალეობა. მაგრამ თუ პარტიულ მოვალეობად ჩასთვალე ის სერვილიზმი, რომელსაც „ერთობაც" დაეჩვია, ეგ დიდს სიკეთეს გიქადის: რამე დიდს საქმეში ჩადგები, „კაცად" გამოხვალ, ჭკვიან კაცს დაგიძახებენ, რამე შეღავათსაც მიიღებ".

ვთქვათ, რომ მართალს ამბობს ბ. ნინიძის გაზეთი, ვთქვათ, ჩვენი პარტია მას აქეთ, რაც მას უბედურება ეწია და მას მოშორდენ „ახალი სხიველები", ზნეობრივათ ისე დამდაბლდა, როგორც ქვეყანას უხატავს ეს გაზეთი. მაგრამ სულ ერთი თვე არ გასულა მას აქეთ, რაც ჩვენი პარტიის რიგებს ამშვენებდენ ეს ჯენტლმენები; სულ ცოტა ხანია გასული მას აქეთ, რაც „სხიველთა" ლიდერი ბ. ნინიძე დღეს ესოდენ დაცემული „ერთობის" რედაქციას ამშვენიერებდა თავისი განათლებული მონაწილეობით: მაშინ ხომ მაღალ ზნეობრივ საფეხურზე იდგა ჩვენი პარტია („სხიველები"-სთანა ადამიანებსაც კი შეეძლოთ მასში დარჩენა!) მაშინ ხომ არ ჩამოქვეითებულა იგი „სერვიზმამდე" („სხიველები" მფარველ ანგელოზებად უდგნენ მისს ზნეობას!) მაშინდელ სოციალ-დემოკრატიის შესახებ ხომ სწორე ყოფილა ჩვენ მიერ გამოთქმული მოსაზრება! ჩვენ საკითხს პრინციპიალურად ვაყენებთ. ჩვენ ვამბობთ: პარტიული დისციპლინის განმტკიცება არაფრით არ ემსგავსება „ინკვიზიციას" ან „ძველ სახელმწიფოს", რადგან პარტიაში ყოფნა თუ არ ყოფნა ნებაყოფლობაზეა დამყარებული. ბრაზმორეული „ახალი სხივი" კი საკითხის ამ პრინციპიალურ მხარეს იქით სტოვებს და ამის მაგივრად გვეძახის: თქვენი პარტია დაბალ ზნეობრივ საფეხურზე დგასო. ასეთი მსჯელობა პირწმინდა „ოპივატელურია" და ჭეშმარიტათ ღირსია ბაზრისა და დუქნისა და არა პოლიტიკური ორგანოსი.

დიახ, პარტიულ ცხოვრებაში ყველაფერი დამოკიდებულია ნებაყოფლობაზე, პიროვნების სინდისზე და შეგნებაზე. ასეა პარტიულ ცხოვრებაში საზოგადოთ, ასე იყო კერძოთ ჩვენს პარტიაშიც იმ არც ისე შორეულ დროში, როდესაც მას ჰქონდა ბედნიერება ბ. ნინიძეების თავის რიგეში ხილვისა, და ვარწმუნებთ ბბ. „სხიველებს", რომ ასეა და ასე იქნება მას შემდეგაც, რაც ჩვენს პარტიას მათი რისხვა დაატყდა თავს. დიახ, პარტიულ ცხოვრებაში საქმე გვაქვს პიროვნული სინდისის თავისუფლების იმ მაქსიმუმთან, რომლის მიღწევა და განხორციელებაც კი შესაძლებელია საზოგადოებრივობის ფარგლებში.

ვინც ამას ვერ ხედავს, ვისაც ეს აშფოთებს, ვინც ამას ვერ ურიგდება, იგია დამდგარი დესპოტიზმის და დიქტატურის ნიადაგზე, პიროვნული თავისუფლების გათელვის გზაზე. პარტიაშიც დავრჩებით, პარტიულ დისციპლინას, პარტიის უმრავლესობის სურვილსაც არ დავემორჩილებით, ამის მოთხოვნა იმას ნიშნავს, რომ პარტიამ თავის დაცვაზე ხელი აიღოს და უსიტყვოდ დაემორჩილოს მის დამანგრეველთა მუშაობას. თუ პარტიის მიერ მავნედ მიჩნეული წევრთა განდევნას „რეპრესიები", „ინკვიზიცია", „დესპოტიზმი" ვუწოდეთ, თუ მას ამისი ნება წავართვით, მაშინ სად არის იმის თავდები, რომ პარტიაში არ შევა ყოველი მისი მტერი ერთად-ერთი მიზნით,—რომ იგი შიგნიდან დაანგრიოს? ვინ არის იმის გადამწყვეტი, თუ რომელია პარტიის მტერი, რომელია—მოკეთე? ამისთანა პირობებში პარტიის, როგორც სხვა საზოგადოების, არსებობა ყოვლად შეუძლებელი ხდება. მაშასადამე, ის, ვინც იტყვის, რომ პარტიის უმრავლესობამ არ უნდა მოიკვეთოს მავნეთ მიჩნეული წევრებიო, ვინც ამას „დიქტატურად", „პიროვნების თავისუფლების შებღალვად", „ინკვიზიციად" მონათლავს, იგი თითონ აკანონებს წარმოუდგენელს ძალადობას უმცირესობისა უმრავლესობაზე.

აი სწორედ აქ არის ის პრინციპიალური განსხვავება, რომელიც არსებობს ამხ. მარიამიძის შეხედულებასა და იმ ტრადიციებში, რომელიც შესისხლხორცებული უნდა ჰქონდეს ჩვენი პარტიის ყოველს წევრს.

ამხ. მარიამიძე სულ სხვა რამეში ხედავს სადავო საკითხს: მას ჰგონია, რომ ჩვენი პარტიის უმრავლესობა უკიდურესად კმაყოფილია ყველა იმით, რასაც ჩვენს სახელმწიფოში აქვს ადგილი. რომ იგი ვერ ხედავს ჩვენს საქმიანობაში ნაკლულევანებას, რომ მას არ უნდოდეს ბნელ მხარეების დანახვა და არც არავის აძლევდეს ამის ნებას. საქმე აგრე არ გახლავთ, ამხ. ნაგო. არ არის არც ერთი პარტია, რომელსაც ასე შეთვისებული-შეგნებული ჰქონდეს თვით კრიტიკის საჭიროება, როგორც სოც.-დემოკრატიას მაგრამ ამ კრიტიკას აქვს თავისი ბუნებრივი და ლოღიკური საზღვარი, რომელიც დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ საქართველოს სათავეში დგას სოც.-დემოკრატია, რომ ეს უკანასკნელია პასუხისმგებელი ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკაში. პარტიამ, პარტიის უმრავლესობამ აირჩია ეს პოლიტიკური ხაზი. და ვინც იმ აზრისაა, რომ ეს მთავარი ხაზი არ ვარგა, ვისაც ჰგონია, რომ ჩვენს სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში არაფერი კარგათ არ კეთდება, რომ იქ მხოლოდ უარყოფით მუშაობაა გაჩაღებული, იგი შეიძლება სიმართლესაც ამბობდეს, მაგრამ საქართველოს სოციალ დემოკრატიაში მას ადგილი არა აქვს. ეს არც სასჯელია, არც ვისიმე დამცირება, არც შეურაცხყოფა; ეს არის უბრალო ფაქტის აღიარება: ესა და ეს წევრი არ იზიარებს იმ მთავარ გზას, რომელზედაც ადგია პარტია, მაშასადამე იგი ამ პარტიასთან ვერ ივლის ერთი გზით.

ამაში მდგომარეობს დიდი აზრი იმ დადგენილებისა, რომლის ძალითაც სოც. დ. პარტიიდან იყო გარიცხულნი ოთხი ყოფილი ამხანაგი. ეს „რეპრესია" კი არ არის, როგორც ჰგონია ამხ. მარიამიძეს; მით უმეტეს ეს არ არის „ინკვიზიცია", როგორც ეს ჰგონიათ თვით გარიცხულიბს.

პირიქით, „ინკვიზიცია" და „დესპოტიზმია" იმის მოთხოვნა, რომ „ახალი სხივის" პოზიციაზე მდგარი პირები პარტიაში დარჩენილიყვნენ და თავისუფლათ ეწარმოებინათ ის საქმე, რომელიც პარტიას თავის უარყოფამდ მიაჩნია.

ამხ. მარიამიძეს გამოთქმული აქვს კიდევ ერთი აზრი, რომელზედაც გვინდა ყურადღება შევაჩეროთ. სოც. დემ. პარტიაში ატეხილი დავის გადასაწყვეტათ მას „ხსნის ერთად-ერთ საშუალებათ მიაჩნია მუშათა კავშირების კონფერენციის მოწვევა, რომლის არჩევნებშიაც მონაწილეობას მიიღებენ მუშათა მასსები". ასეთი წინადადება სრულ გაუგებრობაზეა დაფუძნებული. მუშათა კავშირები არ არის სოც.-დემ. პარტიული დაწესებულება. მართალია, ყველა კავშირებში სოც.-დემ. პარტიის წევრები სჭარბობენ, მაგრამ იქ სხვა პარტიის წევრებიც შედიან. და ნუთუ ამხ. მარიამიძეს ჰგონია, რომ სოც. დემ. პარტიაში ატეხილი დავის გადაჭრაში ამ არა-სოციალდემოკრატებმაც უნდა მიიღონ მონაწილეობა?

ლ. ნათაძე.

თავდაცვისათვის

ომი არ გამოცხადებულა, მაგრამ ომი უკვე დაიწყო,

დიდი და მძიმე ომი.

როგორც ყოველთვის, ჩვენ დღესაც ზავი, მშვიდობიანობა გვინდოდა.

მაგრამ დაუცხრომელი მტერი ჩვენი მშრომელი ხალხისა კვლავ ქურდულათ, მუხანათურად, ვერაგულად დაგვეცა.

ჩვენ ვიცავთ ჩვენს ქვეყანას და ვიწყებთ ომს!

მთელი ჩვენი ძალებით და აღფრთოვანებით ვიწყებთ ამ ომს.

მთელი ხალხის ენერგია ფრონტის ირგვლივ უნდა დაგროვდეს.

ყველა კითხვები დროებით განზე უნდა გადაიდოს და მხოლოდ ფრონტზე უნდა ვიზრუნოთ.

ზურგმა თავი ფრონტს უნდა ანაცვალოს.

ქვეყნის დაცვა და განმტკიცება დიდ მსხვერპლს მოითხოვს.

ყველამ უნდა გაიღოს ეს მსხვერპლი.
ვისაც რით შეუძლია—
ქონებით, შრომით, სისხლით,
და გამარჯვება ჩვენი იქნება—
ისე, როგორც ყოველთვის,
გამარჯვება დიდი, ბრწყინვალე.

ვალიკო ჯუღელი.

შვებულებიდან დაბრუნება 1894—95 წლებში დაბადებულთა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ყველა სამაზრო ერობათა გამგეობებს შემდეგი შინაარსის ბრძანება გაუგზავნა:

დამატებით 1920 წლის 5 ნოემბრიდან № 4320 დეპეშისა გაცნობებთ, რომ თანახმად თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა ამ დეპეშის მიღებისთანავე დაბრუნებულ უნდა იქნენ თავიანთ ერთეულებში ყველა 1894—1895 წლებში დაბადებული ჯარისკაცნი, რომელნიც იმყოფებიან შვებულებაში განსაკუთრებულ განკარგულებამდის. ამის გამო წინადადებას გაძლევთ მიიღოთ ყოველგვარი ზომები, რათა აღნიშნულ წლებში დაბადებული ჯარისკაცნი საწრაფოდ გამოცხადდნენ თქვენთან. გამოცხადებულ ჯარისკაცებს თქვენ უნდა მისცეთ სამგზავრო ლიტერი დანიშნულ ადგილამდე. ამ ჯარისკაცებს საგზაო კმაყოფა უნდა მიეცეს საერთო წესით ისე, როგორც მობილიზაციით გაწვეულთ. ჯარის კაცები გზავნეთ მცირე გუნდებათ უფროსების დანიშვნით იმ ბადრაგთა შემადგენლობით, რომელიც თქვენ გყავთ. ერობამ უნდა მიიღოს ზომები. რომ ჯარის-კაცნი ცხადდებოდნენ იმ სახაზინო ბარგ-ნივთებით, რომელიც მათ აქვთ წაღებული ერთეულებიდან. აწარმოეთ გამოცხადებულთა აღრიცხვა. და მათი რიცხვი წლების მიხედვით და ერთეულთა აღნიშვნით გამოგზავნეთ ამის შესახებ განსაკუთრებულ ბრძანების მიღების შემდეგ. ყველა ეს ჯარისკაცები უნდა გზავნოთ ერთეულების მუდმივ ბინებზე, როგორც გზავნით ამჟამად ახალ წვეულებს.

ხელს აწერს: შინაგან საქმეთა მინისტრი **ნ. რამიშვილი.**

მფრინავი რაზმის წევრებს.

(თფ. პროფ. კავშირთა საბჭოსთან არსებულ მფრინავი რაზმის შტაბისაგან).

ამხანაგებო! ჩვენი საზღვრების აღმოსავლეთით კვლავ წამოიგრაგნა შავი ღრუბლები: საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის სახელმწიფოს საზღვრების ერთგულ მცველებს ჩუმათ, მიპარვით თავს დაესხა ვერაგი მტერი. ბრძოლის ველზე ჩვენი ძმები თავგანწირულ ბრძოლას აწარმოებენ რესპუბლიკის მტრების წინააღმდეგ. მაგრამ ბრძოლის ველზე გამარჯვების აუცილებელი თავდებია ზურგის გამაგრება, მისი სიმტკიცე და უზრუნველყოფა.

თფილისის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან არსებულ მფრინავი რაზმის შტაბი აცხადებს თავის წევრების მობილიზაციას. მობილიზაციის დღეთ დანიშნულია ოთხშაბათი, 16 თებერვალი, საღამოს 6 საათზე, სეკრეტარიატის ბინაზე. მფრინავი რაზმის წევრნი
ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ
ნიშნულ დროზე. მფრინავ რაზმში
წერის მსურველებს შეუძლიათ ნა-
რონ შტაბის
ტის ბინაზე.

მფრინავი რაზმის შტაბი.

თავდაცვის კომიტეტი რკინის გზებ

თებერვლის 12-ს შესდგა რკ
გზის ხელმძღვანელ ორგანიზაციებ
და რკინის გზელთა კავშირის ცენტ
ლურ გამგეობის სასწრაფო სხდომა
საკითხთა განსახილველად, რომლე
შეკავშირებულია რესპუბლიკის
ღვრებზე არსებულ მდგომარეობას
თათბირმა დაადგინა ყოველგვარი
მარება აღმოუჩინოს მთავრობას რ
პუბლიკის დაცვის საქმეში და მიი
ზომები რკინის გზებზე ნორმალურ
ძრაობისათვის ხელის შესაწყობათ და
გზ. ქონების, ხიდებისა და სხვ. დასა
ვად. ამ დადგენილების პრაქტიკულ
განხორციელების მიზნით გადასწყვი
რკინის გზის მთავარ რაიონებში
წყონ თავდაცვის კომისიები, რომე
სათავეშიც თფილისის თავდაცვის
მიტეტი იქნება. თანახმად თათბი
დადგენილებისა თავდაცვის მთავარ
მიტეტში უნდა შედიოდეს 5 პირი:
მი რკინის გზელთა კავშირიდან და
კი რკ. გზ. ადმინისტრაციისაგან სა
იონო კომისიებში შევა კავშირის
წარმომადგენელი და ერთი ადმ
სტრაციის წარმომადგენელი. სარაი
კომისიის წევრებს ნიშნავს მთავარი
მიტეტი.

მთავარ კომიტეტში ამოირჩიეს კა
რიდან ნ. ბერეჟიანი, ი. მაჭავარიან
მეგრელიშვილი. ადმინისტრაციიდ
გზათა უფროსი ა. კანდელაკი და
პლოატაციის ნაწილის უფროსი გ.
ლაშვილი.

დისციპლინა რკინის გზებზე.

ტყვიბულ-ქუთაისის რკინის გზის
ზე დანიშნულმა მთავრობის განსაკ
რებულმა რწმუნებულმა პაპინაშვ
დეპეშით აუწყა რკინის გზის უ
უფროსს, რომ მათ თავის პ
ხისმგებლობის ქვეშ სასტიკი თ
ყური ადევნონ, რათა ყველა
შამ და მოსამსახურემ სიწორით
კეთილსინდისიერად შეასრულოს
სი ვალდებულებანი. ყველა იმ აგე
შესახებ, რომლებიც კანონიერ მოთ
ნილებას არ შეასრულებენ, უნდა
ყონ განსაკუთრებულ რწმუნებულ
სათანადო საბრალმდებლო ოქმი
წარუდგინონ. ის უფროსნი, რომელ
შენიშნულნი იქნებიან თავის ხელქვ
თა არა სინდისიერ მოქმედების
ფარვაში, დამნაშავე აგენტთან ერ
სამსახურიდან იქნებიან დათხოვნი

სამხედრო-წესები ტელეფონ-ტელეგ ფის ქსელზე.

თანახმად მთავრობის ა. წ. 14
ბერვლის დადგენილებისა, რესპუ
კაში არსებულ ტელეგრაფისა და
ლეფონის ქსელი გამოცხადებულია
ხედრო წესებზე და გადმოდის ჩემს
თვალყურეობაში.

გენერალ-გუბერნატორი ბ. ჩხ
შვილი.

დამფუძნებელ კრებაში.

გუშინ 15 თებერვალს შესდგა
ფუძნებელი კრების საგანგებო სხ
რომელსაც დაესწრნენ უცხო სახ
წიფოთა მისიების წარმომადგენ
კრებამ მოისმინა მთავრობის თავმჯ

ლორის მიდამოებში

V

გ

რუსები.

ლორში რუსის ხალხს არავითარი პრეტენზიები არ უნდა ჰქონდეს ტერიტორიალურ კითხვების გადაჭრის დროს..

სომხობა რომ ყოფილიყო უკმაყოფილო, კიდევ შეიძლება მივხვედრილიყავით, რაიმენაირად აგვეხსნა მათი წყრომა..

სომხეთი ჩვენი მოსაზღვრეა და დაშნაკელებს დიდი მადა აქვს მისი საზღვრების ქალაქ გორამდის გადმოტანამდის...

მაგრამ რუსებს რაღა ჰნებავ? რუსეთი ხომ მათგან შორსაა და არც ერთი წერტილით არა ჰხვდებიან ჩვენს საზღვრებს...

ისინი მოხარულნი უნდა იყვნენ, რომ ძლივს საქართველოს საზღკრებში მოექცა მათი სოფლები, ვინაიდან ყველაზე მეტი გარანტიები ეროვნულ განვითარებისა შეუძლიანთ ჰპოვონ საქართველოს ფრთათა ქვეშ...

ჩვენს საზღვრებში მოქცევა რუსობას დიდ ბედნიერებად უნდა ჩაეთვალა... ისე უნდა ეგრძნოთ ჩვენთან თავი, როგორც ღვთის უბეში, მიუხედავ დ ამისა ისინი ყველაზე მეტს უკმაყოფილებას იჩენენ...

ეს, რა თქმა უნდა მთელს რუსობაზე არ ითქმის. როგორც ყველა ბნელს ხალხში, ისე აქაც ხალხს სახელით გაშოდიან მატაოცობას მიჩვეული „გაბედული" ახალგაზრდები...

რუსობის გონებრივი დონე თითქმის არ ამაღლებულა რევოლიუციის წინა დროინდელ დონისაგან, როცა რუსობა ყველა არა რუსს „ბასურმანს" უწოდებდა... ახლაც, ეტყობა, ეთაკილებათ, რომ დიდი რუსეთის შვილნი დღეს „სიმინდის რესპუბლიკის" მოქალაქედ გადაიქცნენ..

„გადაფხეკეთ რომელიც გინდათ კომუნისტი და რუს ნაციონალისტს აღმოაჩენთო"—ამბობდა ლენინი... იგივე ითქმის ლორის რუსობაზე...

ნაციონალისტობის ბაქტერიები ფრიად სწრაფად მრავლდებიან და ლორის რუსობაშიც ოხრად იბღარტეს, ბარაქიანები აღმოჩნდენ...

სწორედ ამ გარემოებით აიხსნება, რომ რუსების ბალშევიზმმა აქაურს სოფლებშიაც ჰპოვა, მართალია სუსტი, მაგრამ მაინც ანგარიშ გასაწევი, გამოძახილი.

შევხვდი ისეთს მდიდრებს, რომელნიც დოვლათში [illegible] და მაინც ბალშევიკებისკენ გაიყურებოდნენ...

კომუნის სიყვარულით მოსდიოდაო?

თქვენც არ მომიკვდეთ.

იმათ იცოდნენ, რომ ბალშევიკებს მოჰყვებოდა რუსეთის აღდგენა და ამის იმედით უღეროდნენ მათ სერენადებს...

მალე ეს იმედიც გაუცრუვდათ...

მალე დაინახეს ის „ბედნიერება", რომელიც მიანიჭეს მათ სომხეთს და გაუმკრთალდათ „ტრფობა ალური".

ჯალალ-ოღლი.

დიდი დაბაა. რკინის გზა რომ მახლობლად გადიოდეს—ქალაქად გადაიქცეოდა. სცხოვრობენ რუსები და სომხები... მცხოვრებნი და გარშემო მდებარე სოფლელნი მეძროხეობა-მეცხვარეობას მისდევენ... მომავალში ჩვენი მეურნეობის ცხოვრებაში თვალსაჩინო ადგილს დაიჭერს...

კრებაზე გამოცხადდენ წარმომადგენლები შემდეგი სოფლებიდან: ნოვო ალექსანდროვკა, ნიკოლაევკა, ურუტი, აირდაბერკ, ნოვო პოკროვკა, არმანისი, ვართაპლი, ქურთანი.

უეჭველია შიგ ერივნენ ბალშევიკებიც და დაშნაკელებიც...

უეჭველია იყვნენ ის ვაჟბატონებიც, რომელთაც შეადგინეს ერთი საბუთო დოკუმენტი და რომელიც გვარდიის საველე შტაბს ხელში ჩაუვარდა.

ამ ქაღალდით ჯალალ-ოღლის ბალშევიკები, მართალია მცირე ყოფილა მათი რიცხვი—მოიწოდებდნენ რუსის წითელ არმიელებს და არწმუნებდენ, რომ ისპანიის ინკვიზიცია ხუნდება იმ სიმხეცესთან, რომელსაც სჩადიან ქართველი ჯარისკაცებიო...

ჩვენი ამხანაგები შეჩუკი და ვარდოიანი მოუწოდებდნენ კრებაზე კომუნისტებს გამოსულიყვნენ, დაემტკიცებინათ საზიზღარი ცილი წამება... პირობას აძლევდენ, რომ დაცული იქნებოდა მათი პიროვნება, მაგრამ სდუმდნენ... სდუმდნენ...

სამაგიეროდ ხმა ამოიღო ხალხმა, აღნიშნა გვარდიელთა სამაგალითო თავდაჭერა და გამოსთქვა რწმენა, რომ ქართველი მხედრობა აღარ [illegible] ყოფილს ზონაში მტრის ბანდებს...

ჯალალ-ოღლში ბავშვების თავშესაფარია—პრიუტი.

ათასამდე ბალღია ამ ჟამად შიგ... უკვე ელევათ სანოვაგე... რის ვაინაჩრობით და ჰკვებავენ... ბავშვებს პირისფერი არ ადევთ. ყველა გადახუნებულია და მილასლასებული...

საბჭოთა სომხეთში უკვე [illegible] აღირსეს ხალხსა და კარგი იქნება თუ ამათაც შეიყვანდნენ წილსა მწვანილოვანსა...

გირგერი, გულაკარაკი, ოპარცი.

აქაური სომხობა გულწრფელის სიხარულით შეგვხვდა...—გვჯერა საქართველოს მთავრობა ბრძნულად უვლის ქვეყანას—დაშნაკურ მთავრობამ კი დაღუპა სომხეთიო. ჩვენი ღალატისა ნუ გეშინიანთ... ჩვენ ეკონომიურად საქართვე. ვართ დაკავშირებული—ისტორიულად ხომ დიდი ნიგობრები ვიყავით... ამიერიდან გავამტკიცებთ სიყვარულს, პირს არასოდეს შევირცხვენთო...

აქამომდე დარწმუნებული ვიყავი, რომ დიპლომატობა მხოლოდ [illegible] გენტებს შეეძლოთ... გერგერ[illegible] ნე რუსის უბრალო გლეხებს, [illegible] არა ნაკლებ იჩენდნენ აზრო[illegible] დებს, რომ კითხვაზე პირდ[illegible] ხი არ მოეცათ და ბურუსში [illegible] ნეთ. .

ჩვენს შეკითხვაზე: ვისთან [illegible] ურჩევნიათ, ჩვენთან, თუ სხვა [illegible] სახელმწიფოსთან—მოგვიგეს: [illegible] მელი ხალხი ვართ, ჩვენ გვინდა თავისუფლება, მუშაობა... მყუდრო ცხოვრება... ვინც ამას მოგვანიჭებს, მისი მომხრე ვიქნებითო.

ამხ. კოვალიოვმა გააცნო ჩვენი კონსტიტუციის ის მუხლი, რომლითაც უმცირესობათა უფლებები სავსებით არიან უზრუნველყოფილნი...

ისინი კმაყოფილი დარჩნენ და სომხებთან ერთად სალამი გადმოგვცეს დამფ. კრებისადმი...

პრივოლნოე.

ძალიან ძნელია გაგება, თუ რა ჰსურს აქაურს რუსობას. რისი მომხრეა: მონარქიზმის თუ ბალშევიზმის...

ის ბალშევიკობს კიდეც, დემოკრატიზმსაც ეპოტინება, მაგრამ თუ საწყაული მოხდა და მკვდრეთით აღდგა ძველი წესწყობილება—არც მათ ეწყეინებს და მდაბლად თავს დაუკრავს...

ამ აზრის ილიუსტრაციაა ის, რომ ზოგიერთების ოთახებში ნიკოლოზის სურათს ნახავთ, თუმცა იმავე დროს ბალშევიკებსაც უკმევენ გუნდრუკს. ღმერთსაც უნთებენ სანთელს, ეშმაკსაც... ეშმაკის ბებიასაც თაყვანსა სცემენ, ოღონდ... ოღონდ საქართველოს ვერ შეიყვარებენ...

აქაურ მცხოვრებთა ღირსებათ უნდა ჩაითვალოს ის, რომ დაშნაკურად ლაქუცი არ დაგვიწყეს და გაგვაგებინეს იმედი არ ვიქონიოთ მათი ერთგულებისა .

ხაჩპეტ და მცირე კარაკლისი.

სომხების სოფლებია, მათმა წარმომადგენლებმა აღგვითქვეს ერთგულება და დაგვავალეს მათი სალამი გადავცეთ დამფ. კრებას და მთავრობას.

ვორონცოვკა

აქაური მცხოვრებნი ყველა მალაკნებია... წინეთ ეს ადგილი ყოფილა ბალშევიკების სამოქმედო ცენტრი. აქ უმუშავნია რევ-კომს. ნაპოვნია სამაზრო ყრილობის ერთი რეზოლიუცია, სადაც ნათქვამია: ყრილობა ესალმება ქემალისტების მსვლელობას სომხეთზე და საქართველოზე, რამდენადაც ემსახურებიან იგინი საბჭოთა მთავრობის აღდგენასაო...

აქ ხალხი დაყოფილია ორად, ერთში დგანან ახალგაზრდები, მეორეში ხნიერები... ისე გამწვავებულა მათ შორის უთანხმოება, რომ ახალგაზრდებს დაუდგენიათ: ყველა მათ, ვინც 50 წელს გადასულია—არა აქვს უფლება საზოგადოებრივ საქმის გადაწყვეტაში მონაწილეობა მიიღოსო.

განსაკუთრებით შური უძიებიათ მდიდრებზე, მთელი სარჩო-საბადებელი ჩამოურთმევიათ და მცინართათვის გადაუციათ. ისრაელის ცეცხლის წაკიდებასა ჰკავდა მათ მიერ ჩვენი დაუნდობლობაო—შემოგვჩიოდენ მოხუცები.

ბევრი მდიდარი კომუნისტებს მიჰკედლების იმ იმედით, რომ თავისი ქონება გადაერჩინა... არც შემცდარა ანგარიშში... მათ მამულ-დედულისთვის ხელი არ უხლიათ..

აი ერთია, მაგალითად ვინმე რეშეტოვი, რომელსაც დიდძალი ქონება გადაურჩენია თავისი გაკომუნისტობით.

კომუნისტებს ჩვენი ჯარების მიახლოვებისას მოუნდომებიათ შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ ისე მცირენი ყოფილან, რომ ვერა გაუწყვიათ რა...

დაპატიმრებულია 9 კომუნისტი...

ახია მათზე, სთქვეს მოხუცებმა: Сама себя раба бьет, что не чисто жнет... უბედურება მხოლოდ ის არის, რომ მათი ოჯახი ჩავარდა საცოდაობაში, ისინი გვენანებიან... თავად ღმერთს არ ექმნა და ახლა ხომ სიმშილით ამოსწყდნენ, თუ მთავრობამ არ მოიღო მოწყალება და არ გაანთავისუფლაო..

ვორონცოვკელებმა მიგვიწვიეს სამლოცველო სახლში... დიდი დარბაზი იყო... ხუთასიოდე კაცი ჩამწკრივებული იყო სკამებზე... შუაში იდგა გრძელი მაგიდა და ზედ ელაგა დიდი ფორმატის დაბადებები... რელიგიური სექტაა მალაკნობა.. ხატები, მღვდელმსახურება და საერთოდ მართლმადიდებელთა საიდუმლოებანი არა სწამთ...

ღვთის მსახურება მათი გამოიხატება ბიბლიის კითხვასა და ფსალმუნებაში... რომელიმე მათგანმა კომუნისტობასა
რომ მიიღოს—დაბადებას არ
წყებს... ბიბლიური ამბებით აზრ
ბენ... აქ არ გამოგადგება მარ
პოლიტიკური ლექსიკონი... რ
ბაზედაც არ ელაპარაკო,—
ნაც არა უთხარი რა—
გდებენ... ანგარიშს არ

მაგიდას გარს შ
ტიო მოხუცები...

მოხსენების შემდეგ
უხუცესთაგანი და წარმოთქვა:

მადლობას მოვახსენებთ დამფ.
ბის წევრებს ვორონცოვკაში მობრ
ბისთვის და მოხსენების გაკეთებისთ
საქართველოს რესპუბლიკას უსურ
ბრძნულ გზის გაგრძობას... მზათა
დავეხმაროთ, რითაც შეგვიძლიან
ლაძე და გამარჯვება მთავრობის
მჯდომარეს ნოე ნიკოლოზისძე
ნიასო...

მთელი დარბაზი
ცის აზრს...

ყრილობამ შე
მთავრობის წ
9 დაპატიმრებულ
ლნიც, თურმე, მ
თი პირობა დ
ლოს წინააღმდე
სიულ მოქმედე
არიან თფილის
გამოაცხადონ,
ბენ კომუნისტ

ნოვო

აქაური სოფ
იბადება ერთი მ
გაეგოთ თუ არა
რომ თათბირი
ჩვენ კაცები მოგ
გვცეს, რომ ისი
აზრს იზიარებენ
გულებას.

თათრები.

ლორში თათრ
პროცენტს არ შე

მათი სოფლები
სახელმწიფოთაგან
მხეთს, რომელთან
ლლი აქვთ და ამი

მარის განცხადება სომხეთის მხრივ ვერაგული თავდასხმის შესახებ და ერთხმათ მიიღო რეზოლუცია, რომ ის ამ თავდაცვით ბრძოლაში მთავრობას მხარს დაუჭერს.

პროვოკაციული დეპეშის გამო

[illegible]თფილისის რადიო-სადგურიდან რა[illegible] გადაეცა ყველა სახელმწიფოებს [illegible] რუსეთის, ბაქოს, ერევანს [illegible] და სხ. შემდეგი ცნობა.

[illegible]ავანიანის ხელმოწერით გადმოცემული რადიოგრამა და იგრედ წოდებულ ლორის აჯანყებულთა რევ. კომიტეტის ცნობები, რომელთაც მიზნად აქვს, რომ სომხეთ-საქართველოს საზღვრებზე მომხდარ სისხლის მღვრელ ამბებს და ლორის მცხოვრებთა აჯანყებას მისცეს სამოქალაქო ომის ხასიათი,—წარმოადგენს ყალბ და პროვოკაციულ ამოძახილს, რომელიც ამიერკავკასიის ხალხებს ახალ სისხლის ავანტიურას უმზადებენ, ნამდვილად კი, აქ ადგილი აქვს სომხეთის მხრივ საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო მოქმედების ვერაგულად, დაწყებას ძალით მოწყობილ აჯანყების ბორჩალოს მაზრის ზოგიერთ იმ სოფლებში, რომლებშიაც რუსეთ-სომხეთის საბჭოთა რაზმების ნაწილები შეიჭრენ. ბრძოლების დროს ტყვეთ წამოყვანილი საბჭ. ჯარისკაცები და აფიცრები წითელი ლაშქრის რეგულიარულ სამხ. ნაწილებისა, რომელთა ავანგარდში ჯერ-ჯერობით აღმოჩენილია 2 ცხენოსანი და 2 ქვეითი პოლკი, ქვეითა ჯარი 5 ბატალიონი და რუს ოფიცრების ხელმძღვანელობით მომქმედი არტილერიის ნაწილები ამტკიცებენ იმას, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს არა ლორის გლეხების აჯანყებასთან, არამედ სომხეთის მხრივ მოხდენილ თავდასხმასთან, რომელსაც მიზნათ აქვს გადაწყვიტოს იარაღით სადავო კითხვები მაშინ, როდესაც საქართველომ სადავო საკითხების გადასაწყვეტად მიიღო მშვიდობიანი დემოკრატიული გზა,—გზა შეთანხმებისა და არბიტრაჟისა, აქ განმეორდა ისტორია საქართველო-სომხეთის დამოკიდებულებისა 1918 წელში, როდესაც ასევე ხელოვნურად იყო მოწყობილი დაშნაკურ სომხეთის მიერ აჯანყებულ ლორში დენიკინის აგენტების ხელმძღვანელობით და ამ შემთხვევაშიაც საბჭოთა სომხეთის პოლიტიკა არის გაგრძელება დაშნაკურ სომხეთის პოლიტიკისა, რომელიც უქადის დაღუპვას და მონობას, როგორც სომხეთის, ისე ამიერ-კავკასიის სხვა ხალხებს.

დაწყებული ომის გარშემო

ერთხელ კიდევ დაიქუხა ბორჩალოს მაზრაში თოფ-ზარბაზნებმა!

სომხეთის ჯარები შემოიჭრნენ ნეიტრალურ ზონაში. აჯანყეს ნაწილი ადგილობრივ მოსახლეობა საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ.

ამ ორი წლის წინად, როცა სომხეთის ერის ბედ-იღბალს განაგებდა დაშნაკცუტიუნის პარტია, მაშინაც მოუნდომეს საქართველოს დაღუპვა.

გზადაბნეული ხალხის საშუალებით ცდილობდნენ ჩვენი დემოკრატიისათვის სასიკვდილო მახვილი ჩაეცათ გულში.

უნდა აღვნიშნოთ, ჩვენი მოწინააღმდეგეთა საყურადღებოთ, რომ საქართველოს დემოკრატია, მუშათა კლასი, მთელი ერი, რომელსაც აქვს ცხოვრების სწორი გზა უკეთეს მერმისის გამოსაჭედათ, რომელსაც არასოდეს არ უფიქრია სხვის დაჩაგვრა-განადგურება, არც უწარმოებია დაპყრობითი პოლიტიკა, რა თქმა უნდა, თავის საკუთარსაც სხვას არ გაატანს.

ამ ორი წლის წინად დამარცხდნენ ჩვენთან ბრძოლაში სამარცხვინოთ, რომელიც მწარე მოგონებათ ჰქონდათ დღემდე.

სომხეთის მთავრობა თვისი ფუქსავატი ოცნებით მუდამ ცდილობდა ორი კურდღლის დაჭერას: ევროპის დიდ სახელმწიფოებს ეპლაუქებოდნენ და ცდილობდნენ, რომ თავიანთი ბედნიერება მეზობელ ერების უბედურებაზედ აეშენებინათ; ვერ ნახეს ვერავის გამოწვდილი ხელი. საკუთარ ძალებზე დაყრდნობა კი ეძნელებოდათ. მათ არ გაატარეს ცხოვრებაში სოციალური რეფორმები; ხალხს ვერ დაანახეს ცხოვრების სინამდვილე; მზამზარეულად არავინ არაფერი მიართვა.

ნათქვამია, წყალ წაღებული ხავსს ეჭიდებაო. ასე მოსდით დაშნაკელებს: როცა მათ ვერ შესძლეს თვისი ხალხის მოვლა, ნახევარი ქვეყანას უბრძოლველად ჩაუგდეს ქემალის ჯარებს, ნახევარი კი წითელ იმპერიალისტურ საბჭოთა რუსეთის სარდლობას და ერევნის რევკომის მეთაურობით რუსეთის ჯართან ერთად მოდიან ჩვენს წინააღმდეგ.

ამ ორი წლის წინად სასტიკად დამარცხდნენ ჩვენი მოწინააღმდეგენი.

დღეს იჭვიც არ გვეპარება იმაში, რომ ჩვენი ჯარი და გვარდია ცხვირპირს დაამტვრევს თავის მოწინააღმდეგეს და თუ საჭირო იქნება, ფეხზედ დადგება მთელი საქართველოს მშრომელი ხალხი და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცავს რევოლიუციით მოპოვებულ თავისუფლებას, და კვლავ გამარჯვებული, თვისი ინტერნაციონალური დროშით დაუბრუნდება საკუთარ ოჯახს და მამულს.

ეს ერთხელ და სამუდამოთ ახსოვდეთ ჩვენს მტრებს!

ივანე ნაზარბეგიშვილი.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

თებერვლის 15.

რუსეთის დეპეშ. სააგენტო

(ბოლშევიკური).

პ. კრაპოტკინის დაკრძალვა.

მოსკოვი. 14 თებ. 13 დიდ ძალი ხალხისა, პარტიულ და საბჭოთა პროფესიონალურ ორგანიზაციების თანადასწრებით დაასაფლავეს ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ მებრძოლი ვეტერანი კრაპოტკინი. კრაპოტკინის საფლავი მრავალი გვირგვინით შეამკეს. გვირგვინთა შორის განირჩეოდა შემდეგი გვირგვინები: „ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ მებრძოლ ვეტერანს პეტრე კრაპოტკინს—საბჭოთა სახალხო კომისარიატისაგან და სხვა. დასაფლავების დროს მრავალი სიტყვა წარმოითქვა. ორატორები აღნიშნავდნენ, რომ კრაპოტკინის დაკარგვით ჩვენ დავკარგეთ არა მარტო გენიალური მწერალი, არამედ—განსაკუთრებული დიდი ადამიანი, რომელიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში დაუღალავათ სთესდა ნათელ იდეებს და წმინდათ ემსახურებოდა იმ იდეალს, რომლის სიმართლეც მას ღრმათ სწამდა.

იტალია და ინგლისი.

სფორცამ იტალიის სენატში წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა: რომ იგი ანგორის მთავრობასთან მეგობრულ დამოკიდებულებაშია, და რომ იტალიას სურს დაეხმაროს დამოუკიდებელ ოსმალეთის ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას.

ლონდონის კონფერენცია.

„ტანი“ იუწყება: ოსმალთა დელეგაცია ანგორიდან ლონდონში თებერვლის 21 ჩამოვა. იმ შემთხვევაში თუ დელეგაციამ ცოტა დაიგვიანა, აზრთა გაცვლა-გამოცვლა დანიშნულ დროს მაინც მოხდება. ოსმალთა დელეგაცია სტამბოლიდან და ელინთა დელეგაცია უკვე ლონდონში არიან.

მაროკოს საკითხი.

მაროკოში მყოფი საფრანგეთის გენერალ-გუბერნატორი, გენერალი ლიოტაუ გაემგზავრა საფრანგეთს, სადაც საფრანგეთის მთავრობასთან ერთად მაროკოს საკითხს განიხილავენ.

აჭ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

15 თებერვალი.

სპარსეთში

ლონდონი. თანახმად თეირანიდან მოსული ცნობებისა ინგლისელთა მოწინავე რაზმი თავს დაესხა წითელ არმიელთა მე-144 პოლკს, რომელსაც სპარსეთის ჩრდილოეთ დასავლეთით უკავია ტერიტორია. თავდასხმა გამოწვეულია ბოლშევიკების მიერ დაწყებულმა სროლამ. ბოლშევიკების რაზმი გაფანტულია სროლის შემდეგ ინგლისელებმა ჩაიგდეს ხელთ 27 ტყვე და 2 ტყვიისმფრქვეველი. მოჰკლეს 12 წითელი არმიელი. ინგლისელების მხრით მსხვერპლი არ არის.

ანგორა და მოსკოვი.

სტამბოლი. ჰავასის სააგენტო საქარ. დეპ. სააგ. აუწყებს: ანატოლიის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა მიმართა ჩიჩერინს ოფიციალური წერილით რომელშიაც იგი საბჭოთა მთავრობას ფარულ ზრახვებში და ფარისევლობაში სდებს ბრალს. „აღმოსავლეთის პრესა“, ნათქვამია ამ წერილში, და საზღვარგარეთ მყოფი ჩვენი აგენტები გვაფრთხილებენ ჩვენ გამოვიჩინოთ მეტი სიფრთხილე მოსკოვის მიმართ, რომელიც მზათაა ისარგებლოს ანგორით ანტანტასთან მოლაპარაკების დროსო“. დასასრულ ანგორის მთავრობის წარმომადგენელი დაჟინებით მოითხოვს, აცნობოს მას მოსკოვმა ინგლისთან წარმოებულ მოლაპარაკების მიმდინარეობა, რათა მით დაამშვიდოს ოსმალეთის საზოგადოებრივი აზრი. საბჭოთა მთავრობამ მოიწვია გამოჩენილი გერმანელი საზღვაო ოფიცერი, რომელმაც თვალყური უნდა ადევნოს რუსეთში წყალქვეშა ნავების გაკეთებას. ოფიცერს საბჭოთა მთავრობა დიდი ჯილდოს მიცემას დაპირდა.

ახალი ამბები

ჯარში გაწვეულთა ოჯახებისათვის ქალაქის გამგეობამ თებერვლის 12 სხდომაზე დაადგინა აღძრას მთავრობის წინაშე შუამდგომლობა იმ ულუფის ნორმის გადიდების შესახებ, რომელიც ჯარში გაწვეულ სათადარიგო ოჯახებს ეძლევა.

◆ **წალენჯიხის მონასტრის გაძარცვის გამო.** ტფილისში დაბრუნდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის ინსპექტორი ი. ქარცივაძე, რომელიც მინისტრის მინდობილობით გაგზავნილი იყო ზუგდიდის მაზრაში წალენჯიხის მონასტრის გაძარცვის საქმის გამოსარკვევად. ქარცივაძე თავის მოხსენებაში აღნიშნავს, რომ წალენჯიხის მონასტრიდან წაღებულია ყველა ძვირფასი ნივთი არა მარტო იმ ნივთთა რიცხვიდან, რომელიც მთავრობის კომისიის მიერ იყო დაბეჭდილი, არამედ წაღებულია სხვა ნივთებიც, ესე იგი საეკლესიო, ჯვრები და სხვ. მაცხოვრის ხატიდან, ამოღებულია ძვირფასი ქვები და სხვ. ზარალი რამოდენიმე მილიონ მანეთს უდრის. მონასტრის გაძარცვის გამო დატუსაღებულია 10 კაცი, მათ შორის ხუთი მღვდელი და ერთი ეკლესიის მნათე. დატუსაღებულია: მ. თვალთვაძე, გ. თვალთვაძე, ი. კვარცხავა, კ. შენგელია, ბ. კვარაცხელია, მოლოზონი მ. გულუა, მნათე, ა. მისაია და სხვ. ამ საქმის გამოძიება მინდობილი აქვს წალენჯიხის რაიონის გამომძიებელს დ. კასაბაძეს. დატუსაღებულნი ზუგდიდის სატუსაღოში არიან მოთავსებულნი. გაცემულია ბრძანება მათი ქუთაისის და ტფილისის ციხეში გადაყვანის შესახებ.

◆ **სატარიფო პალატის პრეზიდიუმმა** დაამტკიცა ტარიფები: პროფესიონალურ კავშირთა თანამშრომელთათვის, მბეჭდავთათვის, მელიონეთათვის, ყარაიაზის სასოფლო-სამეურნეო მუშათათვის და მომარაგების სამინისტროს საწყობების მუშათათვის. დროებით დაქირავებულ მუშებისათვის 3000 მან. სესხის მიცემის შესახებ პალატამ დაადგინა ამ სესხის მიღების უფლება მიეცეს იმ დროებით დაქირავებულ მუშებს, რომლებიც პალატის ამ დადგენილების მიღებამდე მიმდინარე წლის პირველ იანვრამდე სამუშავარზე იმყოფებოდნენ. მარგანეცის გადამტვირთავთათვის ფოთში პალატამ შემდეგი ტარიფი დააწესა: ვაგონიდან გემზე ერთი ფუთის გადატანაში მიეცემა 5 მ. 20 კაპ. ვაგონიდან პლატფორმაზე გადმოტანაში და პლატფორმიდან ვაგონში ერთი ფუთის შეტანაში 4 მ. 40 კაპ.

◆ **ხის ნახშირი.** მუშათა მაგიდა მუშა მოსამსახურეებს დაურიგებს სულზე 10 გირ. ხის ნახშირს, ფუთს 800 მან. კვალობაზე. ნახშირი მიეცემათ ჯგუფების წარმომადგენლებს ავჭალის ქუჩაზე, არსებულ მაგიდის საწყობიდან.

◆ **ზაქათალის ოლქის ლეკების დელეგაცია.** 14 თებ. შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი ი. ჰავჯანიძე ინახულა ზაქათალის ოლქიდან გადმოხვეწილ ლეკების დელეგაციამ. დელეგაციის მეთაურმა მინისტრის ამხანაგს შემდეგი განცხადებით მიმართა: „ჩვენ გავიგეთ, რომ ევროპის სახელმწიფოებმა საქართველო იურიდიულათ იცნეს და ამით სამუდამოთ დააკანონეს საქართველოს დამოუკიდებელი არსებობა. ამ დიდმნიშვნელოვანი აქტით აღფრთოვანებულმა ლეკობამ წარმოგვგზავნა საქართველოს მთავრობასთან მილოცვით და სალამით. გთხოვთ გადასცეთ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას და მის თავმჯდომარეს ნ. ნ. ჟორდანიას ჩვენი უგულწრფელესი გრძნობები. ჩვენ არ შეგვიძლია დავივიწყოთ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სტუმართმოყვარეობა; ჩვენს შვილებსა და შვილისშვილებს გადავცემთ იმ მზრუნველობის ამბავი, რომელიც თქვენ გამოიჩინეთ ჩვენს მიმართ ამ ცხრა თვის განმავლობაში. ამიერიდან არა მარტო ჩვენ. გადმოხვეწილნი. ვგრძნობთ, რომ ჩვენი ხსნა არ არის საქართველოს გარეშე, არამედ,—ამასავე გრძნობენ ზაქათალის ოლქის ყველა მცხოვრები, რომელთა მისწრაფება და სულის კვეთება ჩვენ კარგათ ვიცით.

◆ **ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი.** ხუთშაბათს 17 თებერვალს სასახლეში სრულ ექვს საათზე დანიშნულია ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტის სხდომა. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საერთო მუშაობაში ფრონტის დასახმარებლათ სთხოვენ დაესწროს ხსენებულ სხდომას.

◆ **გაზეთების შეწყვეტა.** ხვალ უკანასკნელათ გაეგზავნება გაზეთები იმ აგენტებს, რომლებზედაც დიდი ვალია და ფულს არ აგზავნიან, რის გამო კანტორას არ აქვს საშუალება რედაქციებს თავის დროზე მისცეს ფული. კანტორა „განათლება“.

რეპრესიები თუ შეთანხმება *)

(მუშის შენიშვნები).

ჩვენი მუშათა ორგანიზაციები და თვით მუშათა მასსა წარმოადგენს მმართველ პარტიის დასაყრდნობ საძირკველს. ამ პარტიას თავისი ათეული წლების მოღვაწეობის ისტორია აქვს. საქართველოს მუშათა კლასის მებაირაღტრედ გახდა ის დღეიდან თავისი არსებობისა. მისი ბრძოლა და მოქმედება შესისხლხორცებული იყო საქართველოს მუშათა კლასის ცხოვრებასა და არსებობასთან. ამიტომაც იყო, რომ საქართველოს მუშებს არც ერთხელ არ უარუყვიათ ამ პარტიის ბრძოლის მეთოდები და, მაშასადამე, ამ პარტიის მთლიანობით და მისი ჯანმრთელობით ყველაზე უფრო დაინტერესებულია საქართველოს მუშათა წრეები. ყველაზე უფრო ჩვენ ვგრძნობთ იმ ტკივილებს, რომელიც აწუხებს ამჟამად ჩვენს მმართველ პარტიას. და ს.-დ. კონფერენციაზე, სადაც ოპოზიციის საკითხი ირჩეოდა, სამართლიანი იყო გამოსვლა პროფესიონალურ კავშირების ცენტრალურ ორგანოების წარმომადგენლის ამხ. შალვა აბდუშელიშვილისა, რომელიც ზემოთ აღნიშნულ ორგანოების თათბირის სახელით მოითხოვდა კონფერენციისაგან საერთო გზის გამონახვას და შეთანხმებას და კონფერენციას აძლევდა წინადადებას—დაედასტურებია სადისკუსიო ორგანოს არსებობა. მაგრამ, სამწუხაროდ, კონფერენციამ ვერ იგრძნო მუშათა წრეების ტკივილები. მან ვერ გაითვალისწინა შედეგი იმ საშინელებისა, რომელიც მოჰყვებოდა შეუთანხმებლობას და ის ხელაღებით დაადგა რეპრესიების გზას. ეს ნაბიჯი მეტად სახიფათოა ჩვენი მთლიანობისათვის. შეიძლება, ჩვენი მუშათა წრეები ბევრში არ ეთანხმებოდნენ ოპოზიციას. შეიძლება, ზოგიერთ მათ ბრძოლის მეთოდებს არ იზიარებდეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ სწამდეთ, რომ უარყოფითი მხარეები ოპოზიციისა რეპრესიებით მოისპობოდეს. ეს უვარგისი იარაღია სოციალისტური პარტიისათვის. აქ საჭიროა მიზეზების გამოძებნა და სინამდვილის გაგება. რომ დღეს ჩვენში ყველაფერი რიგზე არ არის,—ამას არც ჩვენი ლიდერები უარყოფენ, მაგრამ არის ხალხი, რომელიც ასე ჰფიქრობს: რაც ვერ გაკეთდა,—ყველა ეს სამაგალითოა და რაც გაკეთდა, ეს ყველაფერი ობიექტიური პირობების ბრალია. მაგრამ არის მეორე ნაწილი ხალხისა, რომელიც შემდეგს ჰფიქრობს: რაც გავაკეთეთ, ზოგი რომ უვარგისია და მიუღებელი ჩვენთვის და რაც ვერ გაკეთდა,—ამაში ზოგიერთ შემთხვევაში ჩვენი დაუდევრობაა დამნაშავე, რომელსაც გაგება და გამოსწორება სჭირდება. აი ეს არის სადავო ყველასათვის.

ამას ჩვენი მუშათა წრეები უფრო ამჩნევენ, როგორც პრაქტიკული მოღვაწენი, ვინემ ის ამხანაგები, რომლებიც სათავეში უდგანან დემოკრატიულ მმართველობებს. დანაშაულად უნდა ჩაითვალოს ჩვენს მუშათა წრეების ამდენი ხნის სიჩუმე. ჩვენ უკვე განხეთქილების უფსკრულის პირზე ვდგევართ. ჯერ კიდევ გვიან არ არის, საჭიროა ხმის ამოღება, საშუალების გამონახვა, სადავო საკითხების შესწავლა, ამისათვის პირობების შექმნა და ასე ამ რიგათ განხეთქილების თავიდან აცილება. ეს მისია მუშათა ხელმძღვანელმა ორგანოებმა უნდა იკისრონ. მე საუკეთესო საშუალებათ მიმაჩნია მუშათა კავშირების კონფერენციის მოწვევა, რომლის არჩევნებშიაც მონაწილეობას მიიღებენ მუშათა მასსები. საჭიროა ამ კონფერენციის მედგარი ხმა, მოწოდება საერთო მთლიანობისაკენ. ამას მოითხოვს ჩვენგან დღეს ჩვენი მუშების დღევანდელი მდგომარეობა.

მ. მარიამიძე.

---

*) ამ საგანზე იხილე წერილი ამავე ნომერში სათაურით: „სად არის „ინკვიზიცია?“ რედ.

ენებობათ გული, სიამოვნებით ჰხვდებიან ჩვენს ლაშქარს...

მათი უარყოფითი მხარე ისაა, რომ ყაჩაღობაში ენერგიულ მონაწილეობას ჰღებულობენ... ჩვენების მოსვლამდის როგორც აქ, ისე მთელს ლორში, ყაჩაღობას თითქმის ლეგალური ხასიათი ჰქონია...

ერთ თათარ ყაჩაღის სახლში გვარდიელებს ტყვიის მფრქვეველი უნახნიათ... დამალულიც კი არა ჰქონია, თვალსაჩინო ალაგას მდგარა, თითქოს ოთახის დამშვენებული ყოფილიყოს...

კარა გუზა, კარა იხა, ხოუზბულახ.

ამ სოფლების წარმომადგენლები დავიბარეთ ვორონცოვკაში... მათ გამოგვიცხადეს: რუსობაში ზოგი კიდევ შეიძლება ყოყმანობდეს, ჩვენ კი სულითა და გულით მოხარული ვართ თქვენს მოსვლას... დიდი ხანია ველოდდით, რომ საქართველო მოვიდოდა როგორც სრულუფლებიანი პატრონი ამ კუთხისა და აჰა ვეღირსენითო.

დაგვპირდნენ, რომ ყველა ზომებით შეებრძოლებიან ყაჩაღობას...

* * *

ჩემი მოგზაურობის დროს ლორის თვითეული ციხე-ბურჯი და ნანგრევი საუკუნეთა ხავსის ბიბინით მაჩერებდა და მეუბნებოდა:

— ჩვენ მატიანე ვართ შენის წინაპრებისა, ჩვენ ლეგენდები ვართ დიად წარსულის... დრო-ჟამი უწყალოდ გვშლის, გვაქრობს აღუდგენელად. მოგვხედეთ, ჩაგვიდგით სული ჩვენს ნახევრად წაშლილს მატიანეს. აგვაღორძინეთ ისე, როგორც ძველად ვყვაოდით და ვშვენოდით კულტურებლივ გაზაფხულით.

მე სასოებით ვადევნებდი მათ თვალს და ვანუგეშებდი:

— სასოს ნუ წაიკვეთავთ, წმინდა ადგილნო. განსაკუთრებული კუთხეა საქართველო. ბევრჯელ გაუთანგნიათ ის საუკუნო მონობის გვირაბებში, მაგრამ ჩამოურეკია ზღვევის ზარს და განთავისუფლებულა.

თუ ისეთი მგრძნობელი იყო ძველი ქართველობა, რომ ყოველს ქვას ასეთს თავმოსაწონ, საარაკო ამბებს ჰქმნიდა, თუმცა ერის ცხრა მეათედი დამონებული იყო და არ ჰღებულობდა მონაწილეობას სულიერ კულტურის შექმნაში, დღეს ხომ უფრო მდიდარი იქნება მისი შემოქმედებითი მუშაობა და სრულებას მიაღწევს მისი შესაძლებლობა, როცა თავისუფალია მთელი საქართველო.

დღეს ლაღადა და ამაყად გაისმის მის რაინდთა სიმღერა განუსვენებელ სიხარულსა და ბედნიერებაზე...

შორს ჩვენგან გლოვის ძაძა და სიმწუხარე!..

ჩვენმა მხედრებმა თავიანთი სიყვარულით აპრიალებულ გულებიდან უქრობელი ჩირაღდნები დაანთეს მოწინავე სადარაჯოს ბურჯებზე და ბრინჯაოში წრთობილ სიტყვებით წააწერეს ქართული ძველი ზღაპრების ამოცანა:

შემოხვალ—ინანებ.
არ შემოხვალ—მაინც ინანებ...

ძნელი არაა ამ სიტყვების აზრის გაგება...

თუ მტერი მოგვადგა და გაკადნიერდა ამ საზღვრების გადმოსალახავად შავს დღეს შეეყრება, ვინაიდან ამოწვდილ ხმლებით შეჰხვდებიან ჩვენი მეომრები და მარტო თვალთა ელვარებით დაჰბალთავენ მას, თუნდა უანგარიშო იყოს და შვიდ თავიან ვეშაპებსა ჰგავდეს მისი რაზმები..

ხოლო თუ ჭეშმარიტებისა და თავისუფლების მეგობარი მოგვიახლოვდა და არც კი შემოვიდა—ისიც სინანულში ჩავარდება... ინანებს იმიტომ, რომ თუნდა მთელი ზღვა—ხმელეთიც მოვლოს—ვერსად შეჰხვდება ერს მაღალ-კეთილშობილ მიზნებით ასე გატაცებულს... ვერსად ჰნახავს ხალხს, რომლის თვალებშიაც საქართველოს ხალხსავით ასე გარკვევით სჩანდნენ ბილიკები, რომელთაც უმოკლესი გზით მიჰყავართ შვების ვარსკვლავებით გაჩირაღდნებულს შრომის სამეუფოსკენ...

დ. თურდოსპირელი.

სოც.-დემ. პარტიაში

კრებები

სომხეთთან ომის გამო ნ. ჟორდანიას მოხსენება სახელმწიფოზე და პარტიაზე დღეს 16 თებერვალს არ შესდგება.

— დღეს 16 თებერვალს საღ. 6 საათ. შესდგება ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის კოლლექტივის სხდომა, საჭიროა სხდომას დაესწროს რაიონში არსებული ორგანიზაციები, კვე-კოლლექტივების, იაჩეიკების, ქალთა ორგანიზაციის, გვარდიის, ახალგაზრდა მარქსისტებისა და პროფესიონალურ კავშირების წარმომადგენლები. კოლლექტივი სთხოვს ამხანაგებს ნუ დაიგვიანებენ. (კახეთის ქუჩა № 1).

განცხადებანი

ოთხშაბათს, 16 თებერვალს, საღამოს 6 საათზე ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში შესდგება საზოგადო კრება ს. ს. დ. მ. პარტიის პირველი და მეორე რაიონისა. მოხსენებას გააკეთებს ამხ. ნოე ჟორდანია შემდეგ თემაზე პარტია, სახელმწიფო და პარტიული დისციპლინა. (3—2)

— მეოთხე რაიონული კოლლექტივი თავის წევრთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ რაიონული კოლლექტივის ბიურო ღიაა ყოველ დღე გარდა უქმეებისა დილით: 12—2 საათამდე და საღ. 5—7 საათამდე. (5—4)

— ქ. გორში, კვირას, 20 თებერვალს დილის 10 საათზე (სამაზრო კომიტეტის ბინაზე, ერთობის ქ.) შესდგება ს. ს. დ. მ. პ. გორის სამაზრო კომიტეტის კრება. გასარჩევია ფრიად სერიოზული კითხვები: კომიტეტის წევრებს ვსთხოვთ აუცილებლად დაესწრნენ. კრება მეორეჯერაა მოწვეული და რამდენი წევრიც არ უნდა გამოცხადდეს კანონიერი იქნება. (5—5)

— საქ. ს. დ. მ. პ. ტფილისის ორგანიზაციის მეორე რაიონული კოლლექტივი მოაგონებს თავის წევრებს დაიჩქარონ საარჩევნო გადასახადის შემოტანა.

პარტიული დისციპლინა

ქ. ზესტაფონი. მაზრის პარტიული ყრილობა, შემდგარი 13 თებერვალს ერთხმად მოითხოვს ჩვენ მიერ წარგზავნილმა დელეგატებმა კალაძემ და სულაქველიძემ დასტოვონ დამფუძნებელი კრება, რადგანაც მუხანათური ღალატის შემდეგ ჩვენ მათ აღარ ვსთვლით ჩვენ დეპუტატებათ

შორაპნის სამაზრო კომიტეტი.

პარტიული მუშაობა

თფილისი. მე 7 რაიონის უკანასკნელ შემადგენლობის კოლექტივმა მეტად გართულებულ პირობებში დაიწყო მუშაობა, კოლექტივს ხშირად უხდებოდა მოხსენებების გაკეთება მიმდინარე მომენტის შესახებ, რომ ამხანაგებს ნათელი წარმოდგენა ჰქონებოდათ საერთო მდგომარეობაზე. მოხსენებას აკეთებდნენ: ნ. რამიშვილი, აკ. ჩხენკელი, ვ. თევზაია, ს. დევდარიანი; რუსეთის მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა აგრეთვე ამხ. გ. ხუნდაძემ.

მე-7 რაიონი სივრცით დიდია, პირველად ძალიან მოისუსტებდა პარტიული მუშაობა, მაგრამ შემდეგ გამოსწორდა; მოწყობილი იქნა ქვე-კოლექტივები რაიონში, სანდარაში და სალოლში. მოწყობილ იქნა „იაჩეიკა“ სამხედრო სანივთო საწყობში, სადაც დროგამოშვებით იმართება საქმიანი კრებები, არსებობს დიდი ხნიდან ქალაქის სასაკლაოში პარტიული ორგანიზაცია, ქალაქთა კავშირში—ს. დ. ფრაქცია და მებაღეებში „იაჩეიკა“. მოწყობილი იქნა ქალთა წრე, სადაც მუშაქალებს აღმოჩენილი აქვს [illegible], დაარსებულ იქნა სოციალურ დამხმარე საზოგადოების ადგილობრივი განყოფილება. კოლექტივია ჩაერია სამხედრო ჰოსპიტალის არეულ-დარეულ საქმეებში და მისი დაჟინებითი მოთხოვნით გადაყვანილი იქნა ექიმი ლულაძე, რომელსაც უნდობლობას უცხადებდენ ყველა მოსამსახურენი და აღდგენილი იქნა იქ ორგანიზაციული მუშაობა. კოლექტივმა ბოლო მოუღო რაიონულ გვარდიის შტაბის გარშემო შექმნილ არა-ნორმალურ მდგომარეობას მიიღო მხურვალე მონაწილეობა შტაბის რეორგანიზაციაში. კოლექტივმა შეადგინა თავდაცვის რაზმი და გადასცა რაიონულ შტაბს თავის განკარგულებაში. კულტურულ მუშაობას აფერხებს კლუბისათვის შეფერ შენობის უქონლობა, თუმცა დროგამოშვებით იმართებოდა წარმოდგენები. არსებობს სამკითხველო რკინის გზის რაიონულ გამგეობასთან, ქალაქის სასაკლაოში და ქვედა ნავთლუღში. ამასთანავე არ ყოფილა შემთხვევა, რომ სადღესასწაულო პროცესიის დროს ჩვენი რაიონული ორგანიზაციები ჩვენი კოლექტივის დროშის ქვეშ არ გამოსულიყვნენ.

კოლექტივმა აღძრა შუამდგომლობა სასადილოს გახსნის შესახებ, რაზედაც მან მიიღო დაპირება. წევრთა რიცხვი რაიონში არის 1500 მდე კაცი და ქალი. 1920 წ. 1 იანვრისთვის კოლექტივს ჰქონდა ფულად 4258 მ. 50 კ., შემოსულა იანვარში 3821 მ. 60 კ., დაიხარჯა 3632 მ.; დარჩა 4448 მ; თებერვალში შემოვიდა 2769 მ. 50 კ.; დაიხარჯა 4136 მ., დარჩა 3081 მ. 50 კ.; მარტში შემოსავალი არ ყოფილა მდივნის აქ არ ყოფნის გამო, დაიხარჯა კი 3740 მ., ვალად 658 მ; აპრილში შემოვიდა 3352 მ., დაიხარჯა 2388 მ., დარჩა 964 მ.; მაისში შემოვიდა 9183 მ., დაიხარჯა 3873 მ., გადაეცა მოლარეს 5,000 მ., რადგანაც მდივანი ფრონტზე წავიდა; უკანასკნელ გარემოების გამო თიბათვეში შემოსავალი არ ყოფილა, დაიხარჯა 200 მ.; 1 აგვისტოსთვის, როცა მდივანი დაბრუნდა, გადაეცა მას 3100 მ., შემოვიდა ამავე თვეში 6920 მან., დაიხარჯა 7740 მ., დარჩა 2280 მან., სექტემბერში შემოვიდა 5670 მ., დარჩა 800 მ., ოქტომბერში შემოვიდა 35,059 მ., დაიხარჯა 14,420 მ., დარჩა 21,439 მ; ნოემბერში შემოვიდა 1214 მან., დაიხარჯა 8956 მ; დეკემბერში 23,105 მ., დაიხარჯა 12,050 მ., დარჩა 24,753 მ. მარკებით და წიგნაკებით 1921 წლის 1 იანვრისთვის დარჩა კოლექტივის კასაში 25,769 მ. 50 კ.

1921 წ. 22 თებრ.

პავ. ხარჯველაძე.

ანგორის წარმომადგენლობის ცნობა

15 თებერვალი.

საქართველოში მყოფი ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობის წარმომადგენლობა შემდეგს იუწყება:

დასავლეთის ფრონტი: ოსმალთა რაზმმა, რომელიც ლვინის მიმართულებით მიდის, მოპირდაპირესთან გამართულ ბრძოლის შემდეგ, სოფელი ალმაჯიკი დაიკავა. აღნიშნული სოფელი და ილლიკა 5 კილომეტრით არიან დაშორებულნი. ოსმალეთის ჯარებს დიდი სამხედრო მასალა ჩაუვარდათ ხელში. მტერმა დაჰკარგა: 20 დაჭრილი და 10 მკვდარი კაცი. უშაკის რაიონში სიმშვიდეა.

ადანის ფრონტი. ოსმალეთის ჯარის მზვერავებმა, რომელთაც მინდობილი ჰქონდათ გამოერკვიათ მტრის ზარალი იმ ბრძოლაში, რომელიც მოხდა ეგრეთ წოდებულ „იკიზ-კუიუ“-ს რაიონში, ბრძოლის ველზე აღმოაჩინეს დიდძალი დახოცილი საქონელი და 20 ურემი. აღმოაჩინეს აგრეთვე მტრის დახოცილი ჯარისკაცები. მოპირდაპირე, რომელსაც უტევს ოსმალეთის ჯარები, იხევს უკან და თან მიაქვს სურსათ სანოვაგე. (დ).

ვივიანის აზრი საქართველოს შესახებ

ერთა ლიგის ფრანგულ საზოგადოების პირველი სხდომა, ერთა ლიგის ჟენევაში მომხდარი ყრილობის შემდეგ, იანვრის 18 ს შესდგა. ვივიანმა გააკეთა მოხსენება იმ პოლიტიკის შესახებ, რომელსაც აწარმოებდა საფრანგეთის დელეგაცია ამ ყრილობაზე. ვივიანის აზრით რომ „ერთა ლიგამ იცხოვროს, იგი უნივერსალური უნდა იყოს; იმ დროიდან, როდესაც მან დაიწყო ისეთი საკითხების განხილვა, რომლებიც საერთო მშვიდობიანობას ეხებიან და როდესაც მან დაისახა მიზნათ გაავრცელოს თავისი ორგანიზაციები მთელ ქვეყანაზე, ერთა ლიგამ თავის შემადგენლობაში ყველა ხალხი უნდა მოიწვიოს.“ შემდეგ ვივიანმა მოაგონა სხდომას ერთა ლიგის სტატუტის მე 10 მუხლი, რომელიც ვალდებულად ხდის ლიგას დაიცვას თავისი წევრი, თუ მას დაესხმიან. და ამ მუხლით ახსნა საფრანგეთის დელეგაციის პოზიცია ახალ სახელმწიფოთა და კერძოთ საქართველოს მიმართ: სწორედ მე-10 მუხლის გამო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციუავი მე წინადადების საქართველო ერთა ლიგის შემადგენლობაში მიღებისა უკვე გარეშეა, რომ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოა, რომელსაც აქვს მრავალი საუკუნის ისტორია და მტკიცეთ შემოხაზული საზღვრები. საქართველო—სახელმწიფოა, რომელიც არსებობდა დამოუკიდებლათ 1780 წლამდი და მაშინაც კი, როცა რუსეთი ჩაყლაპვას ლამობდა, მან შესძლო საკუთარი ფიზიონომიის შენარჩუნება.

კონსტიტუციის განხილვა დამფუძნებელ კრებაში

28 იანვრის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

სწარმოებს მუხლობრივი განხილვა კონსტიტუციის პროექტის პირველი თავისა.

ლ. ნათაძე ს.-დემოკრატიული ფრაქციის სახელით შეაქვს წინადადება, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის და საქართველოს კონსტიტუციის საზოგადო შესავლის წაკითხვა გადიდოს კონსტიტუციის მუხლობრივ გარჩევამდის.

ამ წინადადების წინააღმდეგ ლაპარაკობენ ეროვნულ-დემოკრატები,— ხმათა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ წინადადება მიღებულ იქმნა ეროვნულ-დემოკრატების ხმების წინააღმდეგ.

მუხლობრივი განხილვის შემდეგ 1 თავი პირობითად მიღებულ იქმნა, მხოლოდ ზოგიერთი შესწორებებით.

მეორე მუხლი—„საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა არის ნეიტრალური სახელმწიფო"—ამოიშალა სრულიად, რადგანაც ამის შესახებ არის ლაპარაკი დამოუკიდებლობის აქტში, რომელიც კონსტიტუციის განუყოფელ ნაწილს შეადგენს.

მესამე მუხლი—საქართველოს დედაქალაქის შესახებ—შემდეგი სახით იქმნა მიღებული:—„საქართველოს დედა ქალაქი—ტფილისია". დანარჩენი კი, „სადაც მუდმივათ იმყოფება საქართველოს პარლამენტი და მთავრობა"—სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის წინადადებით ამოიშალა.

მე 5 მუხლი, მეორე აბზაციდან, სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის წინადადებით—შემდეგი სახით იქმნა მიღებული: „საქართველოს რესპუბლიკის დროშა არის თეთრი გვირგვი 7 მნათობით", კონსტიტუციის პროექტში კი შემდეგნაირათ იყო „ძლევა მოსილი გიორგი თეთრ რაშზე მჯდომარე".

მე 7 მუხლი „კანონს არა აქვს უკუმოქმედების ძალა" სრულიად ამოიშალა.

დიდი კამათი გამოიწვია მე-13 მუხლმა, სადაც აღნიშნულია: „საერთაშორისო მშვიდობიანობის დასამყარებლად საქართველოს რესპუბლიკა ერთად ერთ საშუალებათ მიიჩნია თავისუფალ ერთა კავშირის შექმნა" ამ მუხლის შესახებ შეაქვს შესწორება სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას, რომლის წინადადებით სრულიად ამოიშალა ეს მუხლი.

რ. არსენიძე. (ს. დ.) ჩვენ ამ მუხლს იმიტომ კი არ უარვყოფთ, რომ არ გვინდოდეს ერთა ლიგაში შესვლა, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ, როგორც სოციალისტებს, სრულიადაც არ მიგვაჩნია იგი საერთაშორისო მშვიდობიანობის ერთად ერთ საშუალებათ. ამისი იდეალი არის მხოლოდ ინტერნაციონალი. ჩვენ, რასაკვირველია, გვინდა ერთა ლიგაში შესვლა, მაგრამ იგი მხოლოდ საშუალებაა და არა მიზანი. საერთაშორისო მშვიდობიანობას ჩვენის სოციალისტების აზრით, მხოლოდ სოციალისტური წეს-წყობილება დაამყარებს. ამიტომაც ჩვენი ფრაქცია წინადადებას იძლევა ამოიშალოს ეს მუხლი, რადგანაც ის (ერთა ლიგა) არ არის ერთად ერთი საშუალება მშვიდობიანობის დამყარების საქმეში.

გ. გვაზავა. (ნ. დ.) წინააღმდეგია ამ მუხლის ამოშლისა. მისი აზრით, სახელმწიფო ვერ იცხოვრებს განმარტოებულათ, მას აუცილებლათ მოუხდება სხვებთან ურთიერთობის დაჭერა, და სხვა სახელმწიფოები კი სრულიადაც არ არიან სოციალისტური სახელმწიფოები. ამიტომ, საჭიროა დატოვება ისეთი მუხლისა, რომელიც გამოხატავს საქართველოს განწყობილებას სხვა სახელმწიფოებთან. ამიტომაც მან დატოვება უნდა, მხოლოდ შესწორებით.

ს. დადიანი, (ს. ფ.) წინააღმდეგია ამ მუხლის ამოშლისა, რადგანაც აქ გამოხატულია საქართველოს მისწრაფება თავისუფალ ერთა ფედერაციისაკენ; მას წარმოუდგენლათ მიაჩნია, რომ სოციალისტებმა ხმა მისცენ ასეთი კავშირის წინააღმდეგ. ამიტომ იგი მოითხოვს დარჩეს ეს მუხლი, მხოლოდ ამოიშალოს სიტყვა „ერთად-ერთი", რადგანაც, მართლაც, ის არ არის საერთოდ ერთად-ერთი საშუალება, და მით უმეტეს—სოციალისტებისათვის.

ს. თევზაია (ს. დ.) უპასუხებს გვაზავას და აღნიშნავს, რომ ის ულოგიკო დებულება, რომლის ძალითაც უეჭველად სახელმწიფომ უნდა დაიჭიროს კავშირი სხვა სახელმწიფოებთან, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს მუხლი უსათუოთ უნდა დარჩეს. შეიძლება რომელიმე სახელმწიფომ მიიღოს ასეთი წესი სხვა სახელმწიფოებთან კეთილ მეზობლურ ურთიერთობის დამყარებისა.—მაგრამ არ შესრულოს, მეორე კი—არ მიიღოს, არ აღნიშნავს კონსტიტუციაში, მაგრამ ამისათვის იზრუნებს. ასე რომ, სახელმწიფოს შეუძლია არსებობა განვითარება ისეც, თუ არ იქნება ეს მუხლი.

შემდეგ ორატორი უპასუხებს ს. დადიანს და აღნიშნავს, რომ თუ ამოიშალა სიტყვა „ერთად-ერთი", მაშინ მუხლი ან უნდა ამოიშალოს (რადგანაც აზრი არ აქვს ასეთ დებულებას) და ან უნდა ჩამოთვლილ იქნეს ყველა საშუალებები, საერთაშორისო მშვიდობიანობისა. უკანასკნელი—არ არის მიზანშეწონილი, მაშ მუხლი უნდა ამოიშალოს. ეს არ ჰნიშნავს იმას, რომ საქართველო არ მიისწრაფის ერთა კავშირისაკენ, საერთაშორისო ურთიერთობის მოწესრიგებისაკენ—ეს პირდაპირ გამომდინარეობს ნეიტრალობის აღიარებისაგან. იგი პირდაპირ იმპერატიული მანდატია მომავალი პარლამენტისათვის მიცემული, რომ მან იზრუნოს მშვიდობიანობის შექმნისათვის საერთაშორისო მასშტაბში.

ლ. შენგელაია (ს. რ.) მოითხოვს ამ მუხლის ამოშლას, მაგრამ მის მაგიერ ისეთი მუხლის მიღებას, რომელიც გამოხატავდა საქართველოს დამოკიდებულებას სხვა სახელმწიფოებთან.

მომხსენებელი პ. საყვარელიძე იცავს კომისიის აზრს და მე 13 მუხლს. ხმის უმრავლესობით ეს მუხლი ამოიშალა.

ყველა დანარჩენი მუხლები უცვლელად იქმნა მიღებული.

პირობითად კენჭი უყარა შემდეგ კრებამ მთელ პირველს თავს, რომელიც მიღებულ იქმნა, წინააღმდეგ მისცეს ხმა სოც. რევოლუციონერებმა.

იხსნება კამათი კონსტიტუციის მე 4 თავის შესახებ.

იოს. ბარათაშვილი (ს. ფ.) არკვევს სახელმწიფოში ძალა უფლების განაწილების მნიშვნელობას, და ჩვენს სამშობლოში უშუალო დემოკრატიის შეუძლებლობას.

იოს. გობეჩია (ს.-რ.) აკრიტიკებს მეოთხე თავს და მოითხოვს სავალდებულო რეფერენდუმის ინსტიტუტის შემოღებას.

ს. ჯაფარიძე (მომხსენებელი) თავის უკანასკნელ სიტყვაში უპასუხებს ესერებს და ამტკიცებს, რომ ჩვენ პარლამენტს არ შეიძლება მუდმივი პარლამენტი დავარქვათ და ეს მით უფრო, რომ მთელი ესერების პროექტის ეს თავი სულ მთლად საკონსტიტუციო კომისიის პროექტიდან არის გადაწერილი. ორატორს შეუძლებლათ მიაჩნია ფაკულტეტიური რეფერენდუმის იმ სახით მიღება, როგორითაც ეს ესერებმა წარმოადგინეს.

კამათის შემდეგ დამფუძნებელი კრება ღებულობს წინადადებას მე-4 თავის მუხლობრივ განხილვაზე გადასვლისას.

ს. ჯაფარიძე აკეთებს მოხსენებას კონსტიტუციის მე-5 თავის შესახებ, სადაც გამოთქმულია ზოგადი მოსაზრებები აღმასრულებელი ხელისუფლების ხასიათის შესახებ.

რ. არსენიძე. (ს. დ.) ამ საკითხის შესახებ საერთო კამათი წინათ იყო, მაშინ გამოვთქვით და დავასაბუთეთ ჩვენი შეხედულება, ეხლა კი მხოლოდ იმ დებულებებს წამოვაყენებთ, რომლებშიაც არ ვეთანხმებით კომისიის პროექტს.

მთავარი განსხვავებაა მთავრობის თავმჯდომარის შესახებ მუხლში. ამას ჩვენ ვიღებთ, მაგრამ ამასთანავე ერთად რესპუბლიკას უნდა ჰყავდეს თავისი უმაღლესი წარმომადგენელი. მაგრამ რომ ასეთი წარმომადგენელი მთავრობის გარეშე იდგეს. აქ სხვანაირათ, პრეზიდენტული სისტემა ჩვენთვის მიუღებელია, იმიტომ რომ აქ არის პერსონალური მართვა-გამგეობა, ჩვენში კი, დემოკრატიულ რესპუბლიკაში, უნდა იყვეს ხალხის მართვა-გამგეობა. ასეთ მმართველობის დროს შესაძლებელია უფრო მეტი შეცდომების დაშვებაც და აგრეთვე აქ უფრო მეტი ადგილი ეძლევა პიროვნების გამოჩენას. ამიტომ ჩვენ შემდეგ სისტემას ვაყენებთ: რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე უნდა იყვეს ამავე დროს რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლათ, მაგრამ ის უნდა დარჩეს კოლეგიის წევრათაც. მან უნდა გაიზიაროს კოლეგიის აზრები და პარლამენტის შეხედულებანი. ამისათვის საჭიროა შემდეგნაირი კომბინაცია—კოლეგიის წევრი უნდა დარჩეს სახელმწიფოს წარმომადგენლათაც და მას ზოგიერთ შემთხვევებში უნდა მიეცეს განსაზღვრულ ნაბიჯების გადადგმის უფლება—ჯარის გამოწვევისა და სხ. აქ კი არავითარი საფრთხე არ არსებობს, რადგანაც ის ამავე დროს კოლეგიის წევრი არის და არა ერთპიროვნული მმართველი. ჩვენ არ გვეშინიან პრეზიდენტისა, მაგრამ ჩვენ არ გვინდა მივცეთ ერთ პიროვნებას ისეთი უფლებები, რომლებიც შეიძლება გახდნენ სერიოზულ საფრთხეთ რესპუბლიკისათვის.

ამიტომაც ვიღებთ ჩვენ შეთავსების პრინციპს რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლის და მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობისას ერთ პიროვნებაში, რომელიც კოლეგიის წევრია და რომელსაც ირჩევს პარლამენტი.

შემდეგი საკითხი—არის მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხი. კონსტიტუციის პროექტის ძალით როგორც მინისტრები ისევე მთავრობის თავმჯდომარე პასუხისმგებელნი არიან პარლამენტის წინაშე. მთავრობის თავმჯდომარეს ირჩევს [illegible]—მაგრამ იქ არ არის აღნიშნული [illegible] ჩვენის აზრით ის უნდა იქნეს არჩეული ერთი წლით და არ, ამ დროს განმავლობაში ის ვალდებული უნდა იყვეს შეასრულოს თავისი ამრჩეველთა ნებისყოფა, მას არ უნდა შეეძლოს თავისი თანამდებობისაგან წასვლა იმის გამო, რომ ის არ ეთანხმება პარლამენტის დადგენილებას. სწორეთ ამაში მდგომარეობს მთავრობის მუდმივობის პირობა, ამით აცილებულ იქნება ისეთი პარლამენტარული კრიზისი, რომელსაც ჰქონდა ადგილი—მაგ. აზერბეიჯანში. მაშასადამე მთავრობის თავმჯდომარე ემორჩილება პარლამენტს და ეს იშვიათი შემთხვევა არის. საზოგადოთ, მინისტრები უნდა იყვნენ პასუხისმგებელნი პარლამენტის წინაშე; მათ აქვთ მინიჭებული განსაზღვრული უფლებები — თვითეულს თავის სფეროში, ისინი იქ დამოუკიდებლათ მოქმედებენ და ისინი უნდა იყვნენ პასუხისმგებელნი პარლამენტის წინაშე იმ შემთხვევაში თუ მოღვაწეობა არასასურველი იქნება. რაც უფრო კარგათ გაატარებს ის თავის საქმიანობას—მით უფრო კარგი, თუ ცუდათ მაშინ მას დაიწუნებს პარლამენტი.

აქ ერთმანეთში შეხავებული არის ორი პრინციპი პასუხისმგებლობისა და მორჩილებისა. მათ შორის სრული შეგუებაა, და ეს კონსტიტუცია ეთანხმება იმ პრაქტიკას, რომელიც გვქონდა ჩვენ და რომელსაც ამჟამად ვატარებდით; ამას კი სხვათა შორის გვკარნახობდა ჩვენი საგარეო მდგომარეობა. რასაკვირველია, შეიძლებოდა მიგვეღო არა პოლიტიკურად პასუხისმგებელი მთავრობა, როგორც ეს მაგ. შვეიცარიაშია, მაგრამ საქართველოს განსაკუთრებულ პოლიტიკურ პირობებში მთავრობის პოლიტიკური პასუხისმგებლობა აუცილებელია. ამიტომაც ვარჩიეთ ასეთი შეგუება და მორჩილების და პასუხისმგებლობის პრინციპებისა.

მაშასადამე მთავრობის თავმჯდომარე, რომელიც ჰქმნის პოლიტიკას და მიმართულებას აძლევს მას, უნდა დაემორჩილოს თავის ამომრჩეველს—ე. ი. პარლამენტს, მინისტრები კი, რომლებსაც მთავრობის თავმჯდომარე ჰნიშნავს—პასუხისმგებელნი არიან პარლამენტის წინაშე.

დანარჩენში ჩვენ ვეთანხმებით კონსტიტუციის პროექტს. მხოლოდ ერთი შესწორება კიდევ გვინდა შევიტანოთ—ეს ვადა არჩევისა. პროექტში ეს არ არის აღნიშნული. მაგრამ, ალბათ, იგულისხმება ვადა პარლამენტისა, პარლამენტის გადარჩევასთან ერთად უნდა მოხდეს მთავრობის თავმჯდომარეც. მაგრამ ეს არ არის მისაღები: მთავრობის თავმჯდომარე უნდა იქნეს არჩეული წელიწადში ერთხელ და რაკი ჩვენში არ არის ბევრი ღირსეული პირი, ამიტომ უნდა შეიძლებოდეს მთავრობის თავმჯდომარის გადარჩევა ხელახლა.

გ. გვაზავა (ნ. დ.) აღნიშნავს რომ უფრო მიზანშეწონილია პრეზიდენტის სისტემა. პრეზიდენტი არჩევა ხალხის მიერ და უკანასკნელი ჰნიშნავს მთავრობის თავმჯდომარეს, რომელიც შეადგენს თავის კაბინეტს. ამ შემთხვევაში პარლამენტი თავისუფლათ აძლევს ფასეულს მთავრობის ყოველივე ნაბიჯს.

არ. რცხილაძე (ს. ფ.) იცავს იმ პროექტს, რომელიც წარმოადგინა საკონსტიტუციო კომისიამ; ეს პროექტი მისი აზრით უფრო დემოკრატიულია, ვიდრე სხვა სისტემები.

ს. ჯაფარიძე (მომხ.) იცავს კომისიის სახელით მის პროექტს. კამათის დასრულების შემდეგ—დამფუძნებელი კრება ღებულობს წინადადებას—გადავიდეს ამ თავის მუხლობრივ განხილვაზე.

ს. დადიანი აკეთებს მოხსენებას კონსტიტუციის მე-6 თავის სასამართლოს შესახებ.

მოხსენება არ იწვევს კამათს. დამფუძნებელი კრება იღებს მას და გადადის მის მუხლობრივ განხილვაზე.

ოსმალო კომუნისტები

„ნეზავისიმი გრუზია"-ში მოთავსებულია კორესპონდენცია ტრაპიზონიდან, რომელიც ეხება ოსმალო კომუნისტების, ცნობილ მუსტაფა-სუბის და სხვების, რიცხვით 11 კაცის მოგზაურობას ბაქოდან ტრაპიზონამდე. გაზეთი სწერს:

ყარსის შემდეგ მათ ხალხი არ შეხვდა კარგათ. ამას კი ისინი არ მოელოდნენ. საქმეს ვერ უშველა ვერც კომუნისტურმა თეორიამ, ვერც მუსტაფა სუბხას და სხვების მჭერმეტყველობამ, გლეხები არ უჯერებდნენ და ყურადღებას არ აქცევდნენ მათ მოწოდებას,—რომ დაუყონებლივ ჩაეგდოთ ძალა უფლება ხელში. გლეხები მრავლად გამოდიოდნენ მათ შესახვედრათ და სტვენა გინებით აცილებდნენ. არც სანოვაგეს აძლევდნენ. დიდის წვალებით მივიდნენ ისინი არზრუმამდე, მაგრამ არზრუმში უფრო ცუდათ შეეგებნენ მათ. მცხოვრებლებმა ისინი ქალაქშიც კი არ შეუშვეს, ამიტომ იძულებულნი იყვნენ [illegible] გარეთ გაეტარებინათ ღამე.

მიტინგებს, რომლებზედაც [illegible] სუბხა და მისი ამხანაგები [illegible] დენ ოსმალეთის ხალხს [illegible] დიქტატურის გზაზე დადგ[illegible] მქონდა მათი საწინააღმდე[illegible] ტები და მოითხოვდნენ მათ სამშობლო ტერიტორიიდან გასვლას. კომუნისტები მაინც გაემგზავრნენ ტრაპიზონ საკენ; როდესაც იქ გაიგეს, რომ 28 იანვარს მუსტაფა-სუბხი უნდა ჩამოვიდოდა, მაშინვე დაიკეტა ყველა მაღაზიები და აუარება ხალხი გაემართა მათ დასახვედრათ. კომუნისტები შეეცადნენ ელაპარაკნათ. მაგრამ მათ არც ერთი სიტყვა არ ათქმევინეს, ხალხი აღელვებული უყვიროდა—„მოღალატეებო", „გამცემლებო". მილიციამ როგორღაც იყო, მოახერხა დაეშოშმინა. აქ კი დარწმუნდა მუსტაფა-სუბხი, რომ ანატოლიაში მგზავრობა ამის შემდეგ უნაყოფოც იქნებოდა და არც თუ უშიშარი მათთვის, და ამიტომ სამშობლოში წასვლის ნაცვლად ისინი იძულებულნი გახდნენ რუსეთის ნოვოროსიისკისაკენ წასულიყვნენ

ხალხი წასვლისას მათ უყვიროდა: „წადით იქ, სადაც თქვენ შეგიძლიანთ დაუსჯელათ გაჰყიდოთ და დაჰპოროთ ხალხი".

მუსტაფა სუბხი, გაზეთის გადმოცემით, იბრძოდა ოსმალეთის ჯარში კავკასიის ფრონტზე. 1915 წელს ის ტყვეთ ჩაუვარდა რუსებს და მოთავსებული იყო კურსკის გუბერნიაში. აქედან ის გაიქცა სტამბოლში. აქ მას ოფიცრობა მისცეს და კვლავ გაგზავნეს კავკასიის ფრონტზე.

1918 წელს ის ნური ფაშასთან ერთად წავიდა აზერბეიჯანში,—მაშინ ის ბოლშევიკების შეურიგებელი მტერი იყო და, როგორც ამბობენ მისი მახლობლები, სთხოვდა კიდეც თავის უფროსებს, რომ მისთვის ნება მიეცათ დაეხვრიტა ბოლშევიკები ბაქოდან ის გაგზავნილი იყო ოსმალეთის კონსულად რეშტში. ოსმალეთის ჯარების კავკასიიდან წასვლის შემდეგ ის რეშტში ჩარჩა და შემდეგ გაიქცა იქიდან ინგლისელებმა აზერბეიჯანში. აზერბეიჯანის „განათლებაში" ის მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა.

ის პირნი, ვინც მას იცნობენ, ამბობენ, რომ სუბხი მხოლოდ თამაშობს „კომუნისტის" როლს, რომ მისი მეგობრობა კომუნისტებთან მხოლოდ დროებითი ხასიათისაა, რომ მას არ შეუძლია ჰქონდეს რამე მტკიცე შეხედულებანი და რომ იგი უფრო ავანტიურისტია.

ქუთაისი

6 თებერვალს ჩვენი ქვეყნის იურიდიულად ცნობის გამო ქალაქის ბაღში გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგი, რომელსაც დაესწრო რამდენიმე ათი ათასი მოქალაქე. მიტინგი გახსნა ამხ. შ. გოგიაშვილმა, რომელმაც საქართველოს სოც. დემ. მუშათა პარტიის ქუთაისის კომიტეტის სახელით ვრცლად ილაპარაკა იურიდიულ ცნობის მნიშვნელობის შესახებ. შემდეგ ილაპარაკეს ქალაქის თვითმართველობის სახელით გრ. ნასარიძემ, სოც.-ფედერალისტების სახელით გრ. ლალიძემ, ნაც.-დემ. პარტიის სახელით—ი. ქუნთმა, პროფესიონალურ კავშ. საბჭოს სახელით—ი. ჯიჯეიშვილმა, სახალხო გვარდიის შტაბის სახელით—კ. კანდელაკმა და სტუდენტთა ჯგუფის სახელით—ბარათაშვილმა.

სიტყვების შემდეგ მიტინგმა მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა დამფუძნებელ კრებას და მთავრობის თავმჯდომარეს.

მიტინგიდან ზღვა ხალხი დაიძრა გაგარინის ქუჩით, გავიდა ფრანგის ქუჩაზე, იქიდან ვორონცოვის ქუჩაზე და მერე თავისუფლების მოედანზე, სადაც მოთავსებულია პროფ. კავშირები. აქ მიტინგს კვლავ სიტყვით მიმართა ამხ. შ. გოგიაშვილმა და საღამოს 4 ს. მიტინგი დაიშალა.

მუშათა შორის

მეტყევეთა კავშირში 31 იანვარს, კავშირის ბინაზე შესდგა სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის ფეხსაცმელების სახელოსნო დროებითი მუშების საერთო კრება. კრებას დაესწრო 70 მეტი კაცი. დღის წესრიგში იყო: 1) ადგილობრივი მუშათა კომიტეტის არჩევა, 2) შინაური საკითხები და სხვა.

ადგილობრივ მუშათა კომიტეტში არჩეულ იქნენ ამხ. იაკუბოვი, კიტაჯიანი და თამაზოვი, კანდიდატებათ რაზმაძე და მეშველიშვილი. შინაურ საკითხთა რიცხვში სხვათა შორის შემდეგი კითხვები იქმნა წამოყენებული: საავადმყოფო კასაზედ მიწერა, შეშის მიუღებლობა, 100 პროც. მომატების ცხოვრებაში გატარება, მუშების უსაბუთოდ დათხოვნა და სხ.

პირველ საკითხზედ კრება ადგენს მიენდოს ახლად არჩეულ კომიტეტს კავშირთან ერთად მოაგვაროს ეს საკითხი.

მეორე საკითხზედ ერთ-ერთი ამხანაგი აცნობს რა ამხანაგებს იმ გარემოებას, რომ შეშას უცილობლივ არ აძლევენ კრებას კავშირის მდივანი აძლევს ამის შესახებ განმარტებას. 100 % მომატების შესახებ კრება ადგენს: მიენდოს მეტყევეთა კავშირის გამგეობას გამოარკვიოს მიზეზი ამ მომატების შეუცემლობის და მიიღოს შესაფერი ზომები.

მუშების უსაბუთოდ დათხოვნის შესახებ კრება ღებულობს დადგენილებას: „მიენდოს კავშირის გამგეობას გამოარკვიოს რამდენი მუშა იქნა დათხოვნილი და რა მიზეზით, რის შემდეგაც, თუ გამოირკვა რომ უსაფუძვლოდ ვინმე იქნა დათხოვნილი ადმინისტრაციის მიერ კავშირმა მიიღოს შესაფერი ზომები".

პრემიალური სისტემის ცხოვრებაში გატარების შესახებ კრება ავალებს ადგილობრ. კომიტეტს კავშირთან ერთად რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება შემოიღონ პრემიალური სისტემა.

ჟურნალ „მუშათა ცხოვრების" გავრცელების შესახებ კრება ადგენს გამოწერილ იქნას საკმაო რაოდენობა ჟურნალის რუსულ ქართული ნომრებისა და მათი შეძენა იყოს ყველა მუშებისთვის სავალდებულო. გ—ი.

პროვინცია

სოფ. შიდდა. (თელავის მაზრა) „უძაღლო ქვეყანაში უკუდოთაც დადიანო", სწორეთ ამ სოფელზე ითქმის. ისე ღამე არ გაივლის, რომ ერთი ან ორი ოჯახი არ გაქურდონ. შარშან კი არსაიდან ისე [illegible], ადგილობრივი თემი მეტის მეტ უმოქმედობას იჩენს, მიზეზით მილიციის სიმცირეს ასახელებენ. მთელ სოფელს, სადაც 1200 კომლი სცხოვრობს სამი, მილიციონერი და ერთი მილიციის უფროსი ჰყოლია. ცხადია ასეთი შემადგენლობა სოფელს ვერ დაიცავს, მაგრამ ეს მაინც იმას არ ნიშნავს, რომ სოფელი სრულიად უპატრონოთ იყვეს. მას ჰყავს სამხედრო ერობა და მაზრის მილიციის უფროსი, რომელიც ვალდებულია მიაქციოს ამ მოვლენას სასწრაფო და სასტიკი ყურადღება.

სხვა გაჭირვებასთან ერთად ეს სოფელი განიცდის მეტის მეტ გაჭირვებას პურისა და შეშის ნაკლებობის გამო. შარშან ეძლეოდათ ყველა ოჯახს განსაზღვრული რაოდენობა პური შეშა, წინელის და სხვა. წელს კი ესეც მოისპოთ და ბილეთების ფასი ერთი ორათ გაადიდეს. იმედია ამ მოვლენასაც მიექცევა სათანადო ყურადღება.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი სასიამოვნო მოვლენა და საქმიანობა ჩვენი სამ ზრო ერობისა. მან შესძლო ამ სოფელში, როგორც საზოგადოთ, სწავლა-განათლების და სკოლების მოწყობა. სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ აგრეთვე მიექცევა სათანადო ყურადღება საავადმყოფოს, ფოსტა გზებს, წყლებს და სხვა სოფლის საქმეების მოწესრიგებას.

ხარეკაძე.

რედაქტორი ლევან ნათაძე.

განცხადებანი

კბილის ექიმი

ქ. ტ. ლორის-მელიქოვი ჯიბლაძისა

ღებულობს კბილის ტკივილით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ანასტასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—62

ექიმი

რეზო მაჩაბელი

კანისა და ვენერიული სნეულებანი (წამლობა ახალი და ძველი სალვარსანის) სიფილისი (606—914 შეშხაპუნება) ავადმყოფებს იღებს კაცებს 9—12 ს. დილ. და 6—8 ს. საღ. ქალებს 12—1 ს დღის. 5—6 საღ. მოსკოვის ქუჩა № 4, ზემელის აფთიაქის პირდაპირ. 22—თებ.

საავადმყოფო

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის

მიხეილ გედევანიშვილისა

დღისით 1—2 საათ., საღამ. 5—7 საათ. არის საწოლები. [illegible]

ბათომი

ექიმი

ალ. ალ-ძე თუმანიშვილი

დაბრუნდა ძველ ბინაზე (სვიატოპოლკ-მირსკი ქ. № 31) და შეუდგა შინაგანი და ნერვებით ავადმყოფების მიღებას. (11—მარტ.

ექიმი

ანდრია მიხეილის ძე

ლევენშტეინი

შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭ-ნაწლევების ავადმყ.) რენტგენის და ელექტრონის კაბინეტი. კრილოვის ქ. სახ. № 5, გოკიელოვისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46. 22—თებ.

პ. გ. ფართანოვი

სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულებანი (სიფილისი „606" და „914" შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. [illegible] რამის ქ. № 9, [illegible] ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. ღარიბები უფასოთ. (29—მარ.

კბილის ექიმი.

ნიკოლოზ თეიმურაზის ძე

ხორავა

იღებს კბილით ავადმყოფებს ყოველ დღე გარდა კვირა უქმე დღეებისა დილის 10—2 საათამდე, საღამოობით 4—[illegible] საათამდე. ვერის დაღმართი (ოლღას ქ. კუთხეზე) სახლი № 1. მელიქ-აზარიანცისა, ბინ. № 20. (22 თებ.

ქირურგიული და ქალთა სნეულებების

საავადმყოფო

სამშობიარო განყოფილებით ექიმის

გოკერიასი

პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141, პროექტორი „აპოლოს" მახლობლად. ტელეფ. № 5—97 დასაწოლ ავადმყოფებს და ფეხმძიმე ქალებს იღებენ ყოველ დროს სრული პანსიონით. (28—თებ.

ექიმი

ნ. ა. არუთინოვი

სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) კანის ვენერიული (ტრიპერი), სქესობრივ უძლურება ნერვიულებაში (საშარდე მილის). ახალი-ბებუთოვის ქ. № 5. სა[illegible] სახლის უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით (პარალელურად). მიღება დილით 10 [illegible] ნაშ. ს. საღ. 5 7 საათამდე. 16—თებერ.

ექიმი

მ. ი. კალანდაძე

ღებულობს შინაგანი ავადმყოფობით დილის 8—12 საათამდე, ვენერიულ სიფილისით (წამ. „606" და „914" შეშხაპუნება) და საშარდის ავად. 4 6 საათ. საღამ. უქმე დღეებში მარტო დილა[illegible] ბით გუნიბის ქ. № 6, [illegible] ტელეფონი 18—95. (7—მარტ.

თფილისის ქალაქის გამგეობის
განცხადება

1921 წ. ჯარში მორიგ გასაწვევ სიებში შესატან ახალგაზრდა

მოქალაქეთა საყურადღებოთ.

ქ. თფილისის მკვიდრი მცხოვრებნი საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი გარდა მაჰმადიანებისა, დაბადებულნი 1901 წელში, რომლებიც უნდა იქნენ ჯარში გაწვეულნი 1921 წ 15 ნოემბრიდან, მოვალენი არიან ამა წლის 1 მარტამდე გამოცხადდნენ იმ უბნის კომისარიატში, სადაც ისინი მუდმივ ცხოვრობენ გასაწვევ სიებში ჩასაწერათ და თან უნდა წარუდგინონ წერილობითი განცხადება ერთად თავისი დაბადების და აგრეთვე მამის და ძმების დაბადების მე[illegible] ტრიკული მოწმობები: წერილობითი განცხადებაში უნდა იყოს მოხსენებული ნამდვილი ცნობები ოჯახის შემადგენლობისა (ვინა ჰყავს, მამა მამინაცვალი, დედა ან დედინაცვალი, ყველა ძმები განურჩევლად იმისა სცხოვრობენ მამის ოჯახში თუ ცალკე ან თუ უკვალოთ არიან დაკარგულნი, დები, პაპა და ბებია). მამის და ძმების წლოვანება უნდა აღნიშნული დაწვრილებით (წელიწადი, თვე და რი[illegible] ცხვი დაბადებისა).

თფილისის უბნების გასაწვევ სიებში შეიძლება შეტანილ იქნენ რესპუბლიკის სხვა მაზრების და ქალაქების მხოლოდ და მხოლოდ ის ახალგაზრდა მოქალაქენი დაბადებულნი 1921 წელში, რომლებიც წერილობითი განცხადებასთან ერთად ამა წლის 1 მარტამდე წარუდგენენ უბნის კომისარიატს მოწმობას იმის შესახებ, რომ ისინი თავის სამსახურის ან ხელობის მიხედვით სცხოვრობენ ქ. თფილისში არა ნაკლებ სამი თვისა.

თფილისის ქალაქის გამგეობა.

თებერვალი 1921 წ. (უ. 2—2)

სამხედრო სამინისტროს სამნეო გან

ტეხნიკური სექცია ამით აცხადებს, რომ 22 ამა წლის თებერვლის დილის [illegible] საათზე დანიშნულია შეჯიბრება ნავთის სანათურების სასყიდლათ შემდეგი ზ

მებისა:

1) უბრალო ქისტის ლამფები მინებით № 11 სულ 500 ცალი.
2) უბრალო ჩამოსაკიდი ლამფები № 20 სულ 100 ცალი.
3) უბრალო მაგიდაზე დასადგმელი მინებით № 8 სულ 100 ცალი და
4) ფარნები ნიმუში „ლამურა" სულ 200 ცალი.

ვისაც სურს ვაჭრობაში მიიღოს მონაწილეობა შეუძლია გადასინჯოს ნიმუშები აღნიშნულ სანათურებისა ტეხნიკურ სექციის მატერიალური საწყობში მდებარე ბროსეს ქუჩაზე № 10, 9—3 საათამდე ყოველ დღე.

საქმის მწარმოებელი გელაძე. (556—3—3)